გაზეთი ბოლქევი. „ვერსიის" ფერი

ვერსია

№19 (1709) 3 — 9 ივლისი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ვინ არის რუსი მანიაკი, რომელიც პუტინმა ციხიდან უკრაინაში საბრძოლველად გაუშვა

„ზელენოგრადელი ჩიკოტილოს" სისხლიანი დოსიე

რა არის და რატომაა აუცილებელი გამარჯვებულივით აზროვნება

საიდუმლო, რომელსაც ეროვნულმა ნაკრებმა გვაზიარა

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რა იცვლება ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების კანონში

რატომ გახდა აუცილებელი ცვლილებების კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა პარლამენტში

ვინ არის ვოქტორ ორბანი და რა აკავშირებდა მიხეილ სააკაშვილთან

უცნობი ფაქტები უნგრეთის პრემიერის პოლიტიკური კარიერიდან

პოლიციამ დუშეთის მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული ა.უ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დუშეთის მინიციპალიტეტში მდებარე აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ბრალდებულმა ა.უ.-მ ორ პირზე ფიზიკურად იძალადა, ცივი იარაღის გამოყენებით მათ დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მძიმე დაზიანებების შედეგად ბ.ს. სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის 24 პირი დააკავა, მათ შორის, 11 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთისა და იმერეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 24 პირი დააკავეს, მათ შორის, 11 ნარკორეალიზატორია.

დაკავებულებს შორის არიან, როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად სხვადასხვა სახის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებია ამოღებული. პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების, ასევე, ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო გასაღების, გასაღების მცდელობის და გასაღების მომზადების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1999 წელს დაბადებული კ.ი., 1969 წელს დაბადებული ნ.ს., 1975 წელს დაბადებული ზ.თ., 2002 წელს დაბადებული დ.ა. ასევე, წარსულში ნასამართლევი პირები: 1972 წელს დაბადებული გ.კ., 1990 წელს დაბადებული გ.ბ. და 1994 წელს დაბადებული გ.ა.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 2002 წელს დაბადებული ა.მ., 1999 წელს დაბადებული ს.პ., 1993 წელს დაბადებული ჰ.გ., 1991 წელს დაბადებული ა.ბ.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების, ასევე, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის, საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანისა და კულტივირების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1963 წელი დაბადებული დ.ს., 1983 წელს დაბადებული ვ.ც., 1983 წელს დაბადებული ზ.მ., 2004 წელს დაბადებული ლ.ქ., 1999 წელს დაბადებული მ.მ., ასევე, წარსულში ნასამართლევი პირები: 1988 წელს დაბადებული ა.ქ. და 1995 წელს დაბადებული ბ.მ.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1990 წელს დაბადებული ო.ზ., 1975 წელს დაბადებული მ.კ., 1979 წელს დაბადებული მ.რ., 1996 წელს დაბადებული ს.ხ., 1976 წელს დაბადებული თ.გ. და 1979 წელს დაბადებული ფ.ს.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ასევე, მათ მიერ მითითებული სხვადასხვა ლოკაციიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის, „კოკაინი“, „ბუპრენორფინი“, „მეტადონი“, „მდმა“, „ალფა პვპ“, „კეტამინი“, ე.წ. „ბიო“, „მეტამფეტამინი“, და „მარიხუანა“.

ბრალდებულებისგან პოლიციამ ნივთმტკიცებად, სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული და ელექტრო-სასწორები ამოიღო. ასევე, ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული სამი პირისგან ნივთმტკიცებად ამოღებულია იარაღები.

ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 261-ე, 262-ე, 265-ე, 18-260-ე, 19-260-ე, 273-ე პრიმა, 19-273-ე პრიმა და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, საქართველო ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის კუთხით კვლავ უმაღლეს შეფასებას იღებს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, საქართველო ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის კუთხით კვლავ უმაღლეს შეფასებას იღებს და ინარჩუნებს ადგილს პირველ კალათაში.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა, 2024 წლის 24 ივნისს, გამოაქვეყნა ყოველწლიური ანგარიში, რომლის თანახმად, საქართველო ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შეფასების უმაღლეს საფეხურზეა და უკვე მე-9 წელია ინარჩუნებს ადგილს ე. წ. პირველ კალათაში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ნათქვამია, რომ მთავრობის მიერ გაძლიერდა სამართალდაცვითი ღონისძიებები ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით და პოზიტიურადაა შეფასებული სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის ჩადენისთვის დაწესებული სასჯელები.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ფუნქციონირებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სპეციალიზებული დანაყოფები, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში არსებული ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო და მისი 6 მობილური ჯგუფი, ასევე, აჭარის რეგიონში მოქმედი სპეციალისტთა ჯგუფი – ე.წ. TASK FORCE, რომელიც დაკომპლექტებულია სპეციალიზებული გამომძიებლებითა და პროკურორებით.

დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული დანაყოფები ახორციელებენ ტრეფიკინგის რისკ-ჯგუფში მყოფი ადგილების შემოწმებას (მათ შორის, ღამის კლუბების, ბარების, კაზინოების და ა.შ.) ტრეფიკინგის ფაქტების პროაქტიული გამოვლენის მიზნით. ანგარიშში ასევე მიმოხილულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შრომის ინსპექციის მიერ ჩატარებული ერთობლივი ინსპექტირებები.

დოკუმენტის თანახმად, საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში ტარდებოდა სხვადასხვა კურსები პოლიციელთათვის ტრეფიკინგის საკითხებზე, აგრეთვე, მითითებულია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით ხორციელდებოდა გამომძიებლების, პროკურორებისა და შრომის ინსპექტორების გადამზადება ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე.

ანგარიშს ტრადიციულად ახლავს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას სხვადასხვა მიმართულებით.

ნინო დოლიძე

ვინ არის ვოქტორ ორბანი და რა აკავშირებდა მიხეილ სააკაშვილთან



უცნობი ფაქტები უნგრეთის პრემიერის პოლიტიკური კარიერიდან

მსოფლიო მედიის ცნობით, პირველი ივლისიდან, მომდევნო ექვსი თვით, ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა უნგრეთი იქნება. ოფიციალური ბუდაპეშტის განცხადებით, მისი პრიორიტეტები დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანება, არალეგალური მიგრაციის პრობლემის მოგვარება და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობაა.

უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანია, რომელსაც მთელი ევროკავშირი პუტინის მეგობრად და, ასე ვთქვათ, ლობისტად მიიჩნევს, თუმცა პოლიტიკურ მეხსიერებას არ დავიწყებია, რომ ორბანი, თავის დროზე, პატიმრობაში მყოფ მიხეილ სააკაშილთანაც მეგობრობდა.

და მაინც, ვინ არის უნგრეთის პრემიერი? – „ვერსია“, ონლაინმედიაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ვიქტორ ორბანის ერთგვარ დოსიეს გთავაზობთ.

* * *

ვიქტორ ორბანი, ოფიციალური წყაროების ცნობით, 1963 წლის 31 მაისს დაიბადა.

საშუალო სკოლის დამთავრებისა და სამხედრო სამსახურის შემდეგ, ბუდაპეშტის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომლის დამთავრების შემდეგაც, ორი წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებულ ინსტიტუტში სოციოლოგად მუშაობდა. 1989 წელს, ორბანი სოროსის ფონდის სტიპენდიას იღებს და ერთი წლის განმავლობაში ოქსფორდში, პემბროკის კოლეჯში სწავლობს.

ვიქტორ ორბანს და მის მეუღლეს, ანიკო ლევაის ხუთი შვილი – რეიჩელი, გასპარი, შარა, როზა და ფლორა ჰყავთ.

ორბანი უნგრეთის პრემიერი პირველად 1998 წელს გახდა და ეს თანამდებობა 2022 წლამდე ეკავა. რვაწლიანი პაუზის შემდეგ ანუ 2010 წელს, ორბანი უნგრეთს პრემიერი მეორედ ხდება და ამ პოსტს დღემდე ინარჩუნებს.

* * *

უნგრეთის მთავრობის მეთაურმა, რამდენიმე წლის წინ, ზურაბ ადეიშვილს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. იმხანადვე, გავლენიანმა გერმანულმა გაზეთმა HYPERLINK-მა რამდენიმე საყურადღებო ფაქტზე გააამახვილა ყურადღება. კერძოდ, მედიასაშუალება წერდა, რომ უნგრელებს კარგად ახსოვთ 26 წლის ახალგაზრდა, გრძელთმიანი პოლიტიკოსი, რომელიც ბუდაპეტში, გმირთა მოედანზე, ტრიბუნაზე ავიდა და იქ შეკრებილ 200 ათასზე მეტ ადამიანს სიტყვით მიმართა. ის ითხოვდა ხელისუფლების გადადგომას, თავისუფალ არჩევნებს და ქვეყნიდან საბჭოთა კავშირის ჯარების გაყვანას. იმ პერიოდში მსგავსი განცხადებები ძალიან სარისკო, უფრო მეტიც, მისი სიცოცხლისთვის საშიში იყო.

გავა წლები და უნგრეთის ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა დავიწყებას მიეცემა. გერმანული პრესის ცნობითვე, წლების წინ, დასავლური, ლიბერალური დემოკრატიისთვის მებრძოლ 26 წლის ვიქტორ ორბანსა და დღევანდელ, 50 წელს გადაცილებულ პრემიერს შორის საერთო აღარაფერია.

ციტატა გერმანული გაზეთიდან: *„როგორღაც, ამ უქმე დღეებში, უნგრეთის პრემიერი მეზობელ რუმინეთს ეწვია და იქ სიტყვა წარმოსთქვა, სადაც აპრილში ჩატარებული არჩევნების შემდგომ პერიოდზე ისაუბრა და საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები მაქსიმალურად ღიად დააფიქსირა:*

„ლიბერალურმა დემოკრატიამ თავისი თავი ამოწურა, ის უნგრელი ხალხის კეთილდღეობის, მისი ეროვნული ინტერესების დაცვის გარანტი აღარ არის. ამიტომ, უნგრეთი მომავალში ლიბერალური ღირებულების დაცვის კურსს აღარ გაატარებს. მის ნაცვლად, უნგრელებს დღეს საკუთარი შეხედულებებისა და ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანა სჭირდებათ“.

როგორც უცხოური პრესა იუწყებოდა, ვიქტორ ორბანმა სახელმწიფო პოლიტიკური მოწყობის კუთხით, მისთვის მისაბაძი და სამაგალითო ქვეყნებიც ჩამოთვალა, მათ შორის, რუსეთი, თურქეთი, ჩინეთი და სინგაპური.

ყველაფერ ამის მიღმა, პრემიერმა ნათლად და გარკვევით აღნიშნა, რომ არ სურს, უნგრეთში უცხოელების „ატანა“ და საჯაროდ „დაესხა თავს“ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მართალია, ორბანის პოლიტიკური ოპონენტები მის რადიკალურ განცხადებებს მიჩვეულნი იყვნენ, მაგრამ ზემოხსენებული გამოსვლა მხოლოდ ქვეყნის კი არა, არამედ, მთელი დასავლეთის ლიბერალური და დემოკრატიული ძალებისთვის ნამდვილი შოკი იყო.

უნგრეთის მთავრობის მეთაურის ამ განცხადებების შეფასებისას, ქვეყნის იმდროინდელი ოპოზიციური კოალიციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს: **„პრემიერი იმდენად ავტორიტარული გახდა, რომ ის უკვე ვლადიმერ პუტინის ენით საუბრობს, რომელიც ქვეყნის ყველა შიდა „უბედურებაში“ დასავლელი ჯაშუშების კვალს ხედავს“.**

სტატიაში მედიასაშუალება აღნიშნავდა, რომ ორბანის დაუფარავი პოლიტიკური ორიენტაცია ევროკავშირის შეშფოთებას იწვევს, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ უნგრეთის პრემიერი ცდილობს, ქვეყანამ საბოლოოდ გადაუხვიოს დემოკრატიული გზიდან, მეორე მხრივ კი, ის საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში სულ უფრო არასაიმედო პარტნიორი ხდება.

აქედან გამომდინარე, უკვე ნათელია, რომ ის მხარს არ დაუჭერს ევროკავშირის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ.

„მე არ ვაპირებ მხოლოდ ერთი უკრაინის გამო, ქვეყნის ეროვნული ინტერესები დარტყმის ქვეშ დავაყენო“, – ხაზს უსვამდა პრემიერი.

გარდა ამისა, პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ უნგრეთი არ აპირებს უარი თქვას „გაზპრომის“ ინფრასტრუქტურულ პროექტ – „სამხრეთ ნაკადზე“, რომელიც უკრაინის გვერდის ავლით შენდება...

2014 წლის გაზაფხულზე, ბუდაპეშტში, საპროტესტო

დასასრული მე-4 გვერდზე

მე-3 გვერდიდან

აქციების ტალღა აგორდა. პროტესტანტები ყირიმის რეფერენდუმის ლეგიტიმურად ცნობას და უკრაინული კარპატების უნგრეთის შემადგენლობაში „დაბრუნებას“ ითხოვდნენ.

საპროტესტო გამოსვლები პარტია „იონიკიდან“, მაშინდელი პარლამენტარის, თამაშა გაუდი-ნადიას ინიციატივით გაიმართა. დემონსტრანტებმა უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელზე პეტიციაც მოამზადეს, სადაც საკუთარი მოთხოვნები ასახეს. მოთხოვნათა შორის იყო ადგილობრივი ჯარის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა, რათა მას უკრაინაში მცხოვრები უნგრეთის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების ინტერესები დაეცვა, თუმცა მაშინ, ოფიციალურმა ბუდაპეშტმა აქციის მონაწილეთა მოთხოვნები არ გაიზიარა.

მოკლედ, ბოლო წლებში, უნგრეთი ისეთ პოლიტიკურ ნაბიჯებს დგამდა, რაც საერთაშორისო საზოგადოების ეჭვს მუდმივად იწვევდა; მაგალითად, 2013 წლის დეკემბერში, მან უკრაინული კარპატებისთვის ნახევარი მილიონი ევროს ოდენობის დახმარება გამოყო. რეგიონში დაიწყო უნგრული პასპორტების გაცემა...

ამ საკითხზე უცხოურმა გამოცემა NewsBalt-მა ვრცელი სტატიაც დაბეჭდა, სადაც ავტორმა, ვადიმ ტრუხაშევმა აღნიშნა, რომ უნგრეთს უკრაინის ტერიტორიის ნაწილზე პრეტენზია აქვს, თუმცა ის ამ საკითხზე ხმამაღლა საუბრისგან თავს იკავებს.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ უნგრეთის ხელისუფლება ყოველთვის ღიად აფიქსირებს პოზიციას, რომ ის კარპატებში, საკუთარი ნაცუმცირესობის ინტერესების დაცვისთვის აქტიურ პოლიტიკას ატარებს.

„პირველ რიგში, ეს მიმართულია რეგიონში ეთნიკური უნგრელების უფლებების დაცვის, საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისა და მშობლიური ენის გამოყენების ხელშეწყობის კუთხით“, – ასეთია ოფიციალური ბუდაპეშტის პოზიცია.

* * *

სხვათა შორის, ორბანი ნაცმოძრაობისთვის ახლაა მიუღებელი, თორემ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნგრეთმა, თავის დროზე, ყოფილ მთავარ პროკურორ ზურაბ ადეიშვილს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

უფრო მეტიც, დაახლოებით, ათი წლის წინ, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უნგრეთის პრემიერ-მინისტრს ბუდაპეშტის პარლამენტში შეხვდა და ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, მათ მედიისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს. მაშინ ორბანმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ სააკაშვილმა ქვეყანა დადებითისკენ შთამბეჭდავად შეცვალა და გმობს მისთვის ბრალის წაყენების ფაქტს.

„მახსოვს საქართველოს ის პერიოდი, როდესაც



ვინ არის ვოქტორ ორბანი და რა აკავშირებდა მიხეილ სააკაშვილთან

თქვენ გაატარეთ რეფორმები, რაც, რა თქმა უნდა, უნიკალური და შთამბეჭდავი იყო, ამიტომ ბედნიერი ვარ, რომ მაშინდელ მთავრობასთან ვთანამშრომლობდი. ძალიან რთულია ქვეყნის გარდაქმნა, მოდერნიზება და ხალხის დარწმუნება იმაში, რომ ის, რასაც ლიდერები ხალხს სთავაზობენ, სწორია... ვუჭერთ მხარს მიხეილ სააკაშვილსა და მის პოლიტიკურ გაერთიანებას. ვამაყობ, რომ ჩვენ ვართ ერთი პოლიტიკური ოჯახის წევრები. ვგმობთ და ვეწინააღმდეგებით ყოველგვარ დევნასა და ზეწოლას, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს არ არის გზა მომავლისკენ“, – აღნიშნა ორბანმა.

სხვათა შორის, თავის დროზე, ორბანს ლონდონის Chatham House-ში სიტყვით გამოსვლისას, ზურაბ ადეიშვილთან დაკავშირებით უხერხული კითხვების მოსმენა მოუხდა. შესაბამისი კითხვით, ვიქტორ ორბანს Chatham House-ის ინსტიტუტის წევრმა, სულხან ხაბაძემ მიმართა, რომელიც რამდენიმე წელია, ლონდონში ცხოვრობს.

ხაბაძემ, უნგრეთის პრემიერ-მინისტრს, კითხვის დასმისას ინფორმაცია მიაწოდა, რომ ყოფილი გენერალური პროკურორისა და იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგ, რომელიც საპარლამენტო არჩევნების მეორე დღესვე ქვეყნიდან გაიქცა, სისხლის სამართლის საქმე ოთხი პუნქტით, მათ შორის, მძიმე დანაშაულებზე არის აღძრული.

„ამჟამად, ზურაბ ადეიშვილი იმყოფება უნგრეთში, სადაც თავშესაფარი მიიღო და გამოძიებას ემალება. საყურადღებოა, რომ ის ქართულ პოლიტიკაში ერთ-ერთი ოდიოზური ფიგურა გახლავთ. მისი გაქცევიდან რამდენიმე კვირაში, საქართველოს პარლამენტმა ციხეებიდან 200-მდე პოლიტპატიმარი გაათავისუფლა“, – განუცხადა უნგრეთის პრემიერ-მინისტრს სულხან ხაბაძემ და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის დასკვნაც წარუდგინა, რა დროსაც უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა მას მოუწოდა, პირდაპირ კითხვის დასმაზე გადასულიყო, თუმცა შეკითხვის ავტორმა მაინც გააგრძელა ორბანისთვის ზურაბ ადეიშვილის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

„მე, ასევე, თან მოვიტანე ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის დასკვნა, რომელშიც მოყვანილია საინტერესო სტატისტიკა: 2010-ში, ადეიშვილის მინისტრობის დროს, სისხლის სამართლის საქმეებზე გამამართლებელი განაჩენების წილი მხოლოდ 0.2% იყო, რაც იგივეა, რომ ყოველი 1000 ადამიანიდან, რომლებსაც ადეიშვილმა ბრალდება წაუყენა, მხოლოდ ორი ადამიანი გამართლდა სასამართლო მოსმენების შემდეგ. ეს ციფრები ბევრ რამეზე მეტყველებენ“, – განაცხადა მაშინ ხაბაძემ.

როგორც უნგრეთის პრემიერ-მინისტრს სულხან ხაბაძემ განუცხადა, ქართულ მედიაში არის სპეკულაციები, თუ რატომ აირჩია ადეიშვილმა უნგრეთი და არა, სხვა დასავლეთ ევროპული ქვეყნები – უფრო მეტად ჩამოყალიბებული დემოკრატიები.

„ზოგი ამის პასუხად მიანიშნებს ადეიშვილის ახლო კონტაქტებზე თქვენი მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში, თქვენ მოგეცემათ საშუალება, ამ საქმეს უფრო ახლოს და დეტალურად გადახედოთ“, – განუცხადა სულხან ხაბაძემ უნგრეთის პრემიერ-მინისტრს.

თავის მხრივ, ვიქტორ ორბანმა მისი მისამართით დასმულ შეკითხვაზე პირდაპირი პასუხისგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ Chatham House-ში სიტყვიერი კინკლაობისთვის არ იყო მისული.

„აქ საკინკლაოდ არ ვარ მოსული, მაგრამ, იქნებ, გადახედოთ თქვენს მოსაზრებას უფრო მეტად ჩამოყალიბებულ დემოკრატიებთან დაკავშირეებით, რადგან უნგრეთი ძლიერად ჩამოყალიბებული დემოკრატიული ქვეყანაა და არ არსებობს იმის განცხადების მიზეზი, რომ უნგრეთში ნაკლებად ჩამოყალიბებული დემოკრატიაა, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. პოლიტიკა ხელოვნებაა და ზოგჯერ მას ხელოვნების დარგადაც განიხილავენ. რაც შეეხება თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ამის პასუხად, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ საუკეთესო ორმხრივი ურთიერთობები გვაქვს საქართველოს მოქმედ ხელისუფლებასთან“, – განაცხადა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა.

რა არის და რატომაა აუცილებელი გამარჯვებულივით აზროვნება

ნინო დოლიძე

ეროვნული ნაკრები სამშობლოში დაბრუნდა. მართალია, „ევრო 2024“-ს გამოვეთიშეთ, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა შეძლეს ის, რასაც თითქმის სამი ათეული წელია, ველოდით ანუ თავისუფალ საქართველოში დაბადებულმა თაობამ მთელ ერს გამარჯვების გემო აგრძნობინა. დიახ, ამ ბიჭებს გამარჯვების ფერი აქვთ, რაც ვინმეს მოსწონს თუ არა, მთელ ქვეყანას „გადაეცემა“.

საიდუმლო, რომელსაც ეროვნულმა ნაკრებმა გვაზიარა

საერთოდ, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ადამიანი ორგვარად აზროვნებს – როგორც გამარჯვებული და როგორც დამარცხებული, თუმცა თუ ისე აზროვნებთ, როგორც გამარჯვებული, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ აუცილებლად გაიმარჯვებთ, მაგრამ თანაბარ სიტუაციაში, ყოველთვის გადამწყვეტი უპირატესობა გექნებათ.

სწორედ ეს დაამტკიცა საქართველოს ნაკრებმა – ბიჭები, მართლია, მეოთხედფინალში ვერ გავიდნენ, მაგრამ ისინი ისე აზროვნებენ, როგორც გამარჯვებულები და შესაბამისად, მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშიც მოექცნენ.

აი, სწორედ ეს არის ის ალგორითმი, რომელიც ჩვენ, მთელმა ერმა მათგან უნდა ვისწავლოთ – დიახ, ჩვენ ისე უნდა ვიაზროვნოთ, როგორც გამარჯვებულებმა და გადამწყვეტ მომენტებში, უპირატესობაც აუცილებლად გვექნება.

სამწუხაროდ, მხოლოდ ბოლო 30 წელიწადში კი არა, ლამის, მთელი მე-20 საუკუნე ჩვენ ისე ვაზროვნებდით, როგორც დამარცხებულები ანუ რაღაცნაირად ბედს ვიყავით შეგუებულები და ამიტომაც გვჭირდა ის, რაც გვჭირდა.

80-იანების ბოლოს, ესე იგი, მაშინ, როცა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თაოსნობით, ეროვნული მოძრაობა აზვირთდა, ერთხანობას, ისე დავიწყეთ ფიქრი, როგორც გამარჯვებულებმა.

ახლა, შესაძლოა, ვიღაცამ თქვას, ეს აზროვნება სისხლზე გადიოდაო, კი ბატონო, მაგრამ იგივე 1989 წლის 9 აპრილმა ჩვენ გვასწავლა, უფრო სწორად, გაგვიჩინა რწმენა, რომ მიზნის მიღწევა შეიძლებოდა. აკი, ასეც მოხდა – ამ ტრაგიკული ამბებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, საქართველოში კომუნისტური პარტიის 70-წლიანი დიქტატი დაემხო, თუმცა სამწუხაროდ, ჩვენი გამარჯვებულივით აზროვნება ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა და სახელმწიფო გადატრიალების, თბილისის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების პარალელურად, ჩვენ ისევ ისე დავიწყეთ აზროვნება, როგორც დამარცხებულებმა.

დიახ, ჩვენ ვაზროვნებდით დამარცხებულებივით და შესაბამისად, შეგუებულები ვიყავით ყველაფერ იმას, რაც გვჭირდა – უშუქობას, უგაზობას, უწყლოობას, უპურობას...

დიახ, ჩვენ შეგუებულები ვიყავით, რომ მე-20 საუკუნის ბოლოს ისე ვცხოვრობდით, როგორც შუა ან ადრეული საუკუნეების ადამიანები.

ჩვენ ვაზროვნებდით წაგებულებივით და იმასაც ჩვეულებრივ ამბავდ ვთვლიდით, რომ ქვეყანაში კორუფცია ყვაოდა.

ასე გრძელდებოდა დიდხანს, ძალიან დიდხანს...

ამასობაში, დადგა 2003 წელი...

ახლა, იმის განსჯას არ დავიწყებ, „ვარდების რევოლუცია“ კარგი იყო თუ ცუდი.

არც იმის სიღრმეებში წავალ, მიხეილ სააკაშვილმა და იმხანად ახალგაზრდა რეფორმატორებად წოდებულებმა ის, რაც გააკეთეს, მისაღები იყო თუ არა.

ფაქტია: 2003 წლის ნოემბერში, ჩვენში ცოტა ხნით, ძალიან ცოტა ხნით ისევ გაიღვიძა გამარჯვებულის ეგომ და... ქვეყანაში ახალი რეალობა დადგა ანუ მოგვივიდა წყალი, დენი, გაზი...

სამწუხაროდ, ყველლაფერი ეს ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა ანუ სანამ გამარჯვების ეიფორიაში ვიყავით, ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებმა ხელისუფლება „ფეხქვეშ გაიფინეს“ და...

ჩვენც ისევ ბედს შევეგუეთ...

ჰო, ჩვენ ისევ ისე დავიწყეთ ფიქრი და აზროვნება, როგორც დამარცხებულებმა და...

ასე ვიყავით მთელი 9 წელიწადი...

2011 წელი...

პოლიტიკურ ავანსცენაზე „ოცნება“ ჩნდება და...

მოსახლეობის უმეტესობაც იჯერებს, რომ გამარჯვება შესაძლებელია...

ასეც ხდება და...

დღეს, მხოლოდ ათეულობით, ასეულობით ან ათასეულობით ადამიანი კი არა, მთელი ერი ისე აზროვნებს, როგორც გამარჯვებული.

ეს კი, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ახალგაზრდა ბიჭების დამსახურებაა!

დიახ, კვარა, მამარდა, ჩაკვე, ქოჩორა, ბუდუ, ჟორჟი, კაშია და, საერთოდ, მთელი ნაკრები საქართველოს უახლეს ისტორიაში მხოლოდ ისე კი არ შევა, როგორც საფეხბურთო გუნდი, რომელმაც მოეხერხა და „ევრო 2024“-ის მერვედფინალში გავიდა, არამედ, ეს ბიჭები ისე შევლენ ისტორიაში, როგორც ერისთვის გამარჯვების აზროვნების მასწავლებლები!

არა, ეს არც გადამეტებული შეფასებაა და არც – ქათინაური.

ეს რეალობაა, რეალობა, რომელმაც ერის მიძინებული ე.წ. გრძნობა – გამარჯვების აზროვნება გამოაღვიძა!

„მარცხსა და გამარჯვებაში ნუ დაადანაშაულებთ თქვენს გარშემო მყოფ ადამიანებს, კონკურენტებს, ამინდს, ჰოროსკოპს, არასასურველ ეკონომიკურ სიტუაციას – ასე უკვე აკეთებს მილიონობით ადამიანი მთელს მსოფლიოში, მაგრამ არცერთ მათგანს არ მიუღწევია წარმატებისთვის.

წარმატებას აღწევენ მხოლოდ ისინი, რომლებსაც არ ეშინიათ თავის თავზე აიღონ პასუხისმგებლობა, არა მხოლოდ საკუთარი გამარჯვებისთვის, არამედ, შეცდომისა და მარცხისთვის.

არასოდეს დაკმაყოფილდეთ მიღწეულით, თუ თვლით, რომ არ ამოგიწურავთ საკუთარი შესაძლებლობები და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ – ეს შედეგს აუცილებლად გამოიღებს“, – ამბობენ ფსიქოლოგები.

სხვათა შორის, ამ თემაზე, ფსიქოლოგმა ნათია ფანჯიკიძემ საინტერესო პოსტი გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში:

„ხედავთ ხომ, მთელი ჩვენი კარგი გრძნობების პროექცია ნაკრებზე რომ განვახორციელეთ, ნამდვილ გულშემატკივრებად რომ გადავიქეცით, მოგებულს კი არ ვხოტბავთ, წაგების დროსაც ვამხნევებთ გუნდს და არ ვწყვეტთ მათ სიყვარულს. რატომ არ ვაკეთებდით ამას ადრე? ჩვენში არ იყო და ახლა გაჩნდა ეს თვისება? თუ გადასარევი ფეხბურთელები არ გვყავდა აქამდე? ჩვენი თვისება გააქტიურა იმან, რა სიყვარულის, იდეალური მეგობრობის და გუნდურობის მაგალითიც ამ ნაკრებმა გვაჩვენა და რას ნიშნავს ეს? – ჩვენს შიმშილს, ვხედავდეთ მეგობრობას, ზრუნვას, ერთობას და ერთობას არა უკულმართობაში, ტყუილსა და მაქინაციაში, არამედ, ერთობას სიყვარულისთვის და მთელი ქვეყნის გამარჯვებისთვის“.

მოკლედ, მადლობა, ბიჭებო იმისთვის, რომ ჩვენ ისე დაგვაწყებინეთ აზროვნება, როგორც გამარჯვებულებს!

რა იცვლება ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების კანონში

მაკა რუხაძე

პარლამენტმა პირველი მოსმენით, დაჩქარებული წესით განიხილა და 71 ხმით, მხარი დაუჭირა ცვლილებების პროექტს – „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“. ცვლილებების კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით სონღულაშვილი, ირაკლი კირცხალია, ბეჟან წაქაძე და გოჩა ენუქიძე. პარლამენტში, ეს საკითხი ერთ-ერთმა ინიციატორმა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილემ, ირაკლი კირცხალიამ წარადგინა.

რატომ გახდა აუცილებელი ცვლილებების კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა პარლამენტში

ზოგადი ინფორმაცია

როგორც კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა აღნიშნა, ცვლილებების მიზანია, მოაწესრიგოს სანებართვო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, რათა ხელი შეუწყოს სანებართვო პირობების დაზუსტებას, კერძოდ, ეფექტურ მონიტორინგს, გამჭვირვალობასა და აღრიცხვიანობას.

ირაკლი კირცხალიას განცხადებით, ცვლილებებით, ნებართვების მფლობელთათვის განისაზღვრა ინტერნეტ-დომენებისა და ვებ-გვერდის ოდენობა და მათი ოპერირების წესი. ამასთან, მათ დაემატათ საქართველოს ტერიტორიიდან თამაშების მართვა-ორგანიზების ვალდებულება და ასევე, სასერვერო ინფრასტრუქტურის საქართველოს ტერიტორიაზე განთავსება.

გარდა ამისა, ცვლილებების პროექტით, განისაზღვრება ახალი დასაბეგრი ბაზა და იცვლება გადასახადის განაკვეთები სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზატორ პირთათვის და შესაბამის თამაშობებში მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირთათვის.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათი

უფრო მეტი კონკრეტიკისთვის, თუ რა იცვლება და რატომ გახდა აუცილებელი ცვლილებების პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა პარლამენტში, განვიხილოთ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი:

„წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია, მოაწესრიგოს სანებართვო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, იმ მიზნით რომ, ხელი შეეწყოს სანებართვო პირობების დაზუსტებას. კერძოდ, ეფექტური მონიტორინგის, გამჭვირვალობისა და აღრიცხვიანობის (კონტროლის ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის გენერირების გამარტივება) მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბაზის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის“, – ვკითხულობთ ცვლილებების პროექტის განმარტებით ბარათში.

ვინაიდან მნიშვნელოვანია შემოთავაზებული ცვლილებით გათვალისწინებული საკითხების საკანონმდებლო აქტით დარეგულირება, ბუნებრივია, რომ აუცილებელია „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში სათანადო ცვლილების ასახვა, რათა დროულად მოხდეს ქმედითი მექანიზმების დანერგვა და პრაქტიკაში გამოყენება.

ეს იმიტომ, რომ კანონპროექტის მიღებით, ერთი მხრივ, გაიზრდება საქართველოში ნებართვის მაძიებელთა რიცხვი, ხოლო მეორე მხრივ – არსებული ნებართვის მფლობელების მიერ, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებში მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეების რაოდენობა.

„ნებართვის მფლობელებისთვის განისაზღვრა ინტერნეტ-დომენებისა და ვებ-გვერდების ოდენობა და მათი ოპერირების წესი. ამასთან, ნებართვის მფლობელებს დაემატათ ვალდებულებები საქართველოს ტერიტორიიდან თამაშების მართვა/ორგანიზებასთან მიმართებით და ასევე სასერვერო ინფრასტრუქტურის საქართველოს ტერიტორიაზე განთავსების ნაწილში.

კერძოდ, კანონის პროექტის შესაბამისად: სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების ნებართვა, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების ნებართვა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვა შესაძლებელია გაიცეს, როგორც შესაბამისი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნებართვის საფუძველზე, ისე – მის გარეშე; ამასთან, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ერთი ნებართვით დასაშვებია არაუმეტეს ორი ინტერნეტდომენის სახელით არსებული ვებ-გვერდების ორგანიზება, საიდანაც ორი ინტერნეტ-დომენისა და ვებ-გვერდის არსებობის შემთხვევაში, ერთი ინტერნეტ-დომენი და ვებ-გვერდი გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოთამაშეებისთვის, ხოლო მეორე – უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეებისთვის; მხოლოდ ერთი ინტერნეტ-დომენის სახელით არსებული ვებ-გვერდის ორგანიზების შემთხვევაში, აღნიშნული შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოთამაშეებისთვის, ან მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეებისთვის, ან როგორც საქართველოს, ასევე – უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეებისთვის. გარდა ამისა, ზუსტდება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენასთან დაკავშირებული საკითხები“.

მიზეზი, რის გამოც აუცილებელია ცვლილებების ამ პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა საკანონმდებლო ორგანოში, კანონპროექტის განმარტებით ბარათში დეტალურადაა გაწერილი:

„ვინაიდან კანონპროექტი შეეხება სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზატორი პირებისა და ასევე, სისტემურ ელექტრონული ფორმით აზარტულ ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობებში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობის შედეგად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზატორის მიერ მიღებული დასაბეგრი შემოსავლებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხების საკითხების მოწესრიგებას, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ოპერატიულად განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების აღსრულების სამართლებრივი მექანიზმები და აგრეთვე, გასათვალისწინებელია, ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე დარჩენილია საკმაოდ მცირე პერიოდი, საჭიროა კანონპროექტის განხილვა და მიღება მოხდეს დაჩქარებულ ვადაში, შესაბამისად მოთხოვნილია კანონპროექტის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117 ე მუხლით დადგენილი დაჩქარებული წესით განხილვა“.

მეტიც, ცვლილებების კანონპროექტის განმარტებით ბარათში კონკეტულადაა გაწერილი კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, ასევე იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

„2024 წლისთვის, დღეს მოქმედი სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორებისგან მოსალოდნელია 2.2 მილიარდიანი GGR მაჩვენებელი, რაც მომდევნო წლებისთვის გაიზრდება, დაახლოებით, 30%-ით. ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებული ნებართვის მფლობელებს დამატებითი ფინანსური ვალდებულებები არ წარმოეშვებათ“.

გენერალური აუდიტორის წლიური ანგარიში პარლამენტში

მაკა რუხაძე

2023 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 51 აუდიტი, რითაც ჯამურად დაფარა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 89%. გენერალურმა აუდიტორმა, ცოტნე ყავლაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში და 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება წარადგინა. როგორც მომხსენებელმა, საქართველოს გენერალურმა აუდიტორმა განაცხადა, 2023 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 15 – ფინანსური, 24 – შესაბამისობის, 2 – უწყებათაშორისი ჰორიზონტალური შესაბამისობის და 10 – ეფექტიანობის აუდიტი ჩაატარა.

ხარვეზები უნივერსიტეტების ავტორიზაციის პროცესში და კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებში

წლიური ანგარიში

ცოტნე ყავლაშვილის განცხადებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩატარებული აუდიტებით 20 მილიარდ ლარზე მეტი დაფარა, რაც ნაერთი ბიუჯეტის 89%-ია. მისი თქმით, საერთო ჯამში, 2023 წელს, მაღალი რისკის შემცველობიდან გამომდინარე, 21 შემთხვევაში, ქვეყნის მთავარმა მაკონტროლებელმა უწყებამ საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიმართა.

„2023 წელს ჩატარებული 15 ფინანსური აუდიტიდან, უპირობო მოსაზრება გაიცა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, პირობითი – 10 შემთხვევაში და უარყოფითი – 4 შემთხვევაში. ბოლო წლების მონაცემებით, ეს ყველაზე პოზიტიური მაჩვენებელია და აღნიშნული დადებითი დინამიკა, წლების განმავლობაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის შედეგია“, – აღნიშნა ცოტნე ყავლაშვილმა.

მისივე თქმით, გასულ წელს, 26 შესაბამისობის აუდიტი, საიდანაც 2 – უწყებათაშორისი ჰორიზონტალური შესაბამისობის აუდიტი იყო, ჩატარდა 14 მუნიციპალიტეტში და 3 სახელმწიფო საწარმოში. აუდიტების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები შესაძლებელია დაჯგუფდეს ოთხი ძირითადი სისტემური მიმართულებით: პირველი – შესყიდვების მართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები; მეორე – სახელმწიფო აქტივების მართვა; მესამე – ორგანიზაციული და პერსონალის მართვა და მეოთხე – საბიუჯეტო რესურსების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

გენერალური აუდიტორის განცხადებით, ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში, რაც სამსახურის სტრატეგიული მიმართულებაა, შესწავლილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: სამხედრო განათლების სისტემის ეფექტიანობის აუდიტი, ზოგადი განათლების მართვის მოდელის ეფექტიანობის აუდიტი, სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ეფექტიანობის აუდიტი და სხვა.

როგორც ცოტნე ყავლაშვილმა აღნიშნა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სამსახურმა 3 500-ზე მეტი რეკომენდაცია გასცა, საიდანაც 24% – 2023 წელს გაიცა. აქედან, რეკომენდაციების 74% – სრულად ან ნაწილობრივ არის შესრულებული, 16%-ს – მიმდინარე სტატუსი აქვს, ხოლო 10% – შეუსრულებელია.

* * *

წლებია, „ვერსია“ აქტიურად აშუქებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ აუდიტორულ ანგარიშებს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ შარშანდელი 51 აუდიტორული ანგარიშის აბსოლუტური უმრავლესობა (თუ ყველა არა) დეტალურად გვაქვს განხილული. შეუძლებელია, 51 ანგარიშის მოკლე განხილვა, ამიტომ „ვერსიამ“ ორი, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა შეარჩია გასული წლის აუდიტებიდან – უნივერსიტეტების ავტორიზაცია და კიბოს სახელმწიფო პროგრამების სკრინინგი – გთავაზობთ მათ მოკლე განხილვას, უფრო ზუსტად, გაგახსენებთ ამ ანგარიშებს.

ხარვეზები უნივერსიტეტების ავტორიზაციის პროცესში

სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს ხარვეზები, როგორც ავტორიზაციის საფასურის განსაზღვრაში, ასევე – შრომის ანაზღაურებაში და ინტერესთა კონფლიფქტიც კი.

ზოგადად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმია, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“ ახორციელებს. ავტორიზაცია საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურაა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2018-2021 წლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასურის სახით მიღებულმა შემოსავლებმა 1 966 967 ლარი შეადგინა. ახლა, ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ავტორიზაციის საფასურის განსაზღვრაში:

„შესამოწმებელ პერიოდში, ავტორიზაციის საფასურში გათვალისწინებული იყო დამატებითი ღირებულების გადასახადი – დღგ. 2020 წლის ივლისში, საქართველოს საგადასახდო კოდექსში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობად არ განიხილება საჯარო სამართლის იურდიული პირის – სსიპ საქმიანობა, თუ ის საქმიანობის განხორციელებისას მოქმედებს, როგორც სახელმწიფო ორგანო (ასრულებს სახელმწიფოს მიერ მისთვის დელეგირებულ საქმიანობას) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ საქმიანობისათვის დადგენილია საწევრო, მოსაკრებელი, საფასური ან სხვა გადასახდელი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ცენტრი არ განიხილება დღგ-ით დასაბეგრ პირად, ვინაიდან საგადასახადო მიზნებისთვის მისი საქმიანობა არ განეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას. ეს ხარვეზი გასწორდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებაში, 2022 წლის 29 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით“.

სწორედ ამ კრიტერიუმის მიხედვით, ავტორიზაციის საფასური მოიცავს შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ხარჯებს, რაც მიუთითებს კრიტერიუმის ნაკლოვანებაზე. კერძოდ, ავტორიზაციის საფასური წარმოადგენს ე.წ. „ნორმატიულ ფასს“, რომელიც დამტკიცებულია სამინისტროს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით (მინისტრის ბრძანება). შესაბამისად, შეუძლებელია აღნიშნული ტარიფები განისაზღვროს ფაქტობრივი ხარჯების საფუძველზე. საფასურის განსაზღვრა და უსდ-ის მიერ გადახდა ხორციელდება წინასწარ, ავტორიზაციის მომსახურების გაწევამდე და მისი გაანგარიშება ვერ დაეფუძნება მოცემულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს.

„რიგ შემთხვევებში, მომსახურების ტარიფის მდგენელი ხარჯის ნორმატიული მოცულობა, არსებითად განსხვავდება ამავე სახის ხარჯის ფაქტობრივი მოცულობისაგან. მაგალითად, რეგულირებადი სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სასწავლებლების ავტორიზაციის საფასურში გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფში თანათავმჯდომარის სტატუსით შესული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურება – 12 000 ლარის ოდენობით მაშინ, როდესაც აღნიშნული ექსპერტების შრომის ანაზღაურების ფაქტობრივი ხარჯი, საშუალოდ, 8 000 ლარის ფარგლებში მერყეობს“.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ავტორიზაციის საფასურში გათვალისწინებული არ არის აპელაციასთან დაკავშირებული ხარჯები, დავების შემთხვევაში. განსხვავებული მიდგომაა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, როდესაც აკრედიტაციის საფასური ითვალისწინებს აპელაციის ხარჯებს. სულ 2018-2019 წლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, ცენტრის სააპელაციო საბჭოს მიერ, ხუთი სასწავლებლის მიმართ მიღებულია

გენერალური აუდიტორის წლიური ანგარიში პარლამენტში

მე-7 გვერდიდან

12 გადაწყვეტილება. რიგ შემთხვევებში, მომსახურების ტარიფის მდგენელი ხარჯის ნორმატიული მოცულობა, არსებითად განსხვავდება ამავე სახის ხარჯის ფაქტიური მოცულობისაგან, რაც ზრდის ტარიფის არასამართლიანობის რისკებს.

რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტს, ავტორიზაციის საბჭოს წევრი ვალდებულია, დღის წესრიგის გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, განაცხადოს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გარემოების არსებობა, რაც გულისხმობს, რომ საბჭოს წევრმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ზეპირ მოსმენაში იმ შემთხვევაში, თუ თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში ან/და შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან. ავტორიზაციის ექსპერტი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი ავტორიზაციის მაძიებელ იმ დაწესებულებასთან, სადაც უნდა განახორციელოს ვიზიტი.

ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ამ ნაწილში. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში, საბჭოს სხდომებზე ავტორიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ დაინტერესებულ მხარესთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები.

„კერძოდ, 2018 2021 წლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შვიდ წევრს, 11 შემთხვევაში, სტატუსის მაძიებელ სასწავლებლებთან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, საკითხის განხილვის დაწყებამდე, თვითაცილების შესახებ განცხადება არ გაუკეთებია. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“, როგორც ავტორიზაციის წარმოების პროცესში, ასევე, ავტორიზაციის შემდგომი შეფასების მიზნით მიღებული რეკომენდაციების შესრულებისა და დაწესებულების ფუნქციონირების გაუმჯობესების მონიტორინგში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში მონაწილეობდა პირი, რომელიც შრომითი საქმიანობით დაკავშირებული იყო აღნიშნულ სასწავლებელთან“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 2018 წლის 27 აგვისტოს ჩატარებულ საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრად და ამავდროულად, საბჭოს მდივნის რანგში მონაწილეობდა დაინტერესებული მხარე – ამავე სასწავლებლის დოქტორანტი.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ავტორიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების, ასევე, ავტორიზაციის პირობების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის პროცესში დაინტერესებული პირის მონაწილეობა, არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკებს ზრდის.

ხარვეზები კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებში

არც ისე დიდი ხანია, რაც 40-დან 70 წლამდე ასაკის ადამიანებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას უგზავნიან და უფასო სკრინინგ-კვლევაზე იწვევენ. თუ თქვენი ასაკით ამ სამიზნე ჯგუფში ხართ, მსგავსი შინაარსის მესიჯს აუცილებლად მიიღებდით. ჰოდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა, რამდენად პროდუქტიული და საკმარისია კიბოს სკრინინგის პროგრამებში სამიზნე მოსახლეობის ჩართვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები 2018-დან 2021 წლამდე პერიოდში. საქართველოში სკრინინგ-პროგრამებში სამიზნე მოსახლეობის ჩართულობის რეკომენდებულ

მაჩვენებელთან მნიშვნელოვნად ჩამორჩენის მიზეზები იდენტიფიცირებული აქვთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და კიბოს სკრინინგის პროგრამის განმახორციელებლებს. მათ მიერ არსებულ გამოწვევებზე საპასუხო ღონისძიებები ხორციელდება, თუმცა აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ეს ღონისძიებები არ არის სისტემური, რეგულარული, კომპლექსური და სათანადოდ კოორდინირებული.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ კიბოს სკრინინგის პროგრამა იზოლირებულია სხვა სახელმწიფო პროგრამებისგან და არ არის განსაზღვრული სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ფუნქცია-მოვალეობები, სკრინინგის პროგრამაში მოსახლეობის ჩართვის მიმართულებით. შედეგად, პროგრამის ეფექტიანობის გასაზრდელად ოპტიმალურად არ გამოიყენება დაინტერესებული მხარეებისა და სხვა პროგრამების რესურსები.

„პირველადი ჯანდაცვის სექტორი არ ახორციელებს პროაქტიურ ღონისძიებებს სამიზნე მოსახლეობის კიბოს სკრინინგის პროგრამებში ჩასართავად. კერძოდ, პირველადი ჯანდაცვის ექიმების ღონისძიებები უმეტესად ვიზიტზე მისული პაციენტების ინფორმირებით შემოიფარგლება მაშინ, როდესაც კარგი პრაქტიკა ითვალისწინებს პაციენტის რეფერირებას სკრინინგის განმახორციელებელ დაწესებულებაში, პაციენტის სკრინინგ-პროცედურაზე მოწვევის პროცესში ჩართულობასა და სხვა. საქართველოში სოფლის ან ოჯახის ექიმების დაახლოებით მესამედი ახორციელებს პაციენტების რეფერალს სკრინინგ-პროგრამებში. ოჯახის ან სოფლის ექიმების ნაკლებჩართულობას ადასტურებს აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული სამიზნე მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმადაც კიბოს სკრინინგის პროგრამების შესახებ გამოკითხულთა 6%-ს სმენია ოჯახის ექიმებისგან“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ აუდიტის ობიექტების მხრიდან არ განხორციელებულა სკრინინგ-პროგრამებში პირველადი ჯანდაცვის ექიმების როლის გააქტიურებისკენ მიმართული სისტემური ღონისძიებები. მათთვის არ არის გაწერილი სკრინინგ-პროგრამებთან დაკავშირებული შესაბამისი ფუნქციები და არ ხორციელდება ამ მიმართულებით მათი საქმიანობის მონიტორინგი. პირველადი ჯანდაცვის ექიმების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ნახევარზე მეტს არ გაუვლია კიბოს სკრინინგის პროგრამებთან დაკავშირებული ტრენინგები და არ მიუღიათ მითითებები პროგრამის პოტენციურ ბენეფიციარებთან კომუნიკაციისთვის საჭირო გზავნილების შესახებ.

„მუნიციპალიტეტების მიერ, კიბოს სკრინინგის პროგრამების მხარდაჭერა სუსტია, ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების რესურსი აუთვისებელია კიბოს სკრინინგის პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მოსახლეობის ქცევის შეცვლის მიმართულებით. აუდიტის ჯგუფის მიერ, ორგანიზებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ 13 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ხუთმა განახორციელა ღონისძიებები სამიზნე მოსახლეობის სკრინინგის პროგრამებში ჩასართავად, ხოლო 11 საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან ხუთს – 2018-2021 წლებში, კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის მხარდამჭერი არცერთი ღონისძიება არ განუხორციელებია. მუნიციპალიტეტებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებისთვის არ არის გაწერილი კონკრეტული ვალდებულებები, მათი ფუნქციები და როლი კიბოს სკრინინგის ხელშეწყობის მიმართულებით. ამის გამო, მათი ჩართულობის მასშტაბი და ხარისხი კონკრეტული მუნიციპალიტეტის ინიციატივაზეა დამოკიდებული და ვერ უზრუნველჰყოფს კოორდინირებულ მუშაობას კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში უკეთესი შედეგების მისაღწევად“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სკრინინგის მომსახურებაზე ტერიტორიული ხელმისაწვდომის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად გამოიყენება მამომობილები, თუმცა მამომობილების რესურსი აუთვისებელია პროგრამის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის ბარიერის შესამსუბუქებლად. დაინტერესებულ მხარეებს შორის სათანადო კოორდინაციის შედეგად, მოსახლეობის მობილიზების ღონისძიებების გააქტიურებით, მამომობილებს აქვთ შესაძლებლობა, ერთი ვიზიტის ფარგლებში მოემსახურონ მეტ ბენეფიციარს, ასევე ვიზიტები განახორციელონ უფრო მეტ მუნიციპალიტეტში. არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია კიბოს სკრინინგის პროგრამებში სამიზნე მოსახლეობის ჩართვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების გასაუმჯობესებლად.

სამართალი

№19 3 ივლისი 2024 წ

ვინ არის რუსი მანიაკი, რომელიც პუტინმა ციხიდან უკრაინაში საბრძოლველად გაუშვა

„ზელენოგრადელი ჩიკოტილოს“ სისხლიანი დოსიე

ბათო ჯაფარიძე

ახლა უნდა გიამბოთ ისტორია კაცზე, რომლის მსგავსიც, ალბათ, ცოტაა. რატომ გამოვარჩიე კონკრეტულად ის, ბოლოს გეტყვით, მანამდე კი, გაიცანით იური გრიცენკო, რომელსაც „ზელენოგრადელი ჩიკოტილოს“ მეტსახელით იცნობენ. ადვილი მისახვედრია, ადამიანის მეტსახელში ჩიკატილო რომ გაიჟღერებს, მას ადამიანობასთან კავშირი ნაკლებად აქვს, მაგრამ მაინც.

გრიცენკო 1962 წლის 6 ნოემბერს, ზელენოგრადში დაიბადა. როგორც მეზობლები ამბობენ, ის ძალიან გულჩათხრობილი ბავშვი იყო და მუდმივად კომპლექსები სტანჯავდა. მას ეგონა, რომ არასდროს არაფერი გამოუვიდოდა, რომ არასდროს არავინ შეიყვარებდა, რომ ცოლის მოყვანის პრობლემა ექნებოდა, რადგან არცერთი ქალი მის გვერდით ცხოვრებას არ მოისურვებდა.

ჩვენი „გმირის“ მამა დურგალი იყო, დედა – დიასახლისი, ოღონდ ძალიან, ძალიან მკაცრი ქალი და ფსიქიატრები (და არა ფსიქოლოგები) ვარაუდობენ, რომ გრიცენკოს ჩამოყალიბებაში იმად, რადაც ჩამოყალიბდა, სწორედ დედის გავლენა იყო.

ალბათ, არავინ ელოდა, რომ სკოლის დასრულების შემდეგ, გრიცენკო ჯარში წავიდოდა, მაგრამ მან სწორედ რომ ჯარში სამსახური მოინდომა და როგორც ამბობენ, ორი წლის განმავლობაში, საკმაოდ კარგადაც იმსახურა, ძლიერ მამაკაცად ჩამოყალიბდა და იქიდან დაბრუნებულს, მილიციაში (მაშინ მილიცია ერქვა) მუშაობის დაწყება არ გასჭირვებია. ცოტა ხანში, მან ცოლიც მოიყვანა (სასურველი სასიძოც კი იყო სამსახურის გამო), ორი შვილიც შეეძინა, თითქოს გულჩათხრობილი ბიჭი სადღაც გაქრა, საზოგადოება ძლიერ მამაკაცს ხედავდა, რომელსაც წელზე იარაღი ჰქონდა და კანონს იცავდა, მაგრამ...

„რეალურად, ის კომპლექსიანი ბიჭი არსად გამქრალა. მას ძალოვან უწყებაში სამსახური სწორედ იმ კომპლექსების დასაძლევად სურდა, რომელიც ჰქონდა. მისთვის პატივი უნდა ეცათ იმის გამო, რომ ფორმა ეცვა და კანონს ემსახურებოდა. მას იმისიც კი არ სჯეროდა ბოლომდე, რომ ცოლი სიყვარულით გაჰყვა და ბავშვებიც სიყვარულით გააჩინა“, – იტყვის მოგვიანებით ფსიქიატრი.

ნელ-ნელა, გრიცენკო სასმელს მიეძალა და ერთ მშვენიერ დღეს, სამართალდამცავი ჩვეულებრივ ლოთად იქცა. ის თვრებოდა ქუჩაში, იძინებდა ხის ძირში, ტროტუარზე, ბავშვთა სათამაშო მოედანზე. მისთვის იარაღი რომ არ მოეპარათ, განყოფილების უფროსმა იარაღის ტარების უფლება აუკრძალა, რამაც გრიცენკო მორალურად სულ მოსპო და დალევას უმატა. ჰოდა, ერთ დღესაც, როცა გამოფხიზლდა, უთხრეს, რომ სამსახურიდან ერთი თვის გათავისუფლებული იყო. რა ძნელი მისახვედრია, რომ ასეთ ადამიანთან ცხოვრება არც ცოლს სურდა. მან ბავშვებს ხელი მოჰკიდა და საცხოვრებლად დედასთან გადავიდა, თუმცა მეზობლები ამტკიცებენ, გრიცენკოს არც კი შეუმჩნევია, ცოლ-შვილი რომ დაკარგა, მუდმივად მთვრალი იყო და ვერ ხვდებოდა, როდის დღე იყო, როდის – ღამე, მთავარი გახლდათ, სასმელისთვის რაღაც თანხა ჰქონოდაო.

1993 წელს, მეზობლები გრიცენკოსთან ხმაურის გამო შევიდნენ. სამზარეულოში, სისხლში ვიღაც ქალი ცურავდა, გრიცენკო კი ტაფით ხელში იდგა და უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა. რა თქმა უნდა, მეზობლებმა სამართალდამცავებს გამოუძახეს და ყოფილმა კოლეგებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს. რა ძნელი მისახვედრია, რომ მკვლელობა მარტივად დაუმტკიცდა, თუმცა თავის გასამართლებლად იძახდა, რომ მეძავი მის გაქურდვას და მისი სახლიდან რაღაც ნივთების წაღებას აპირებდა, რაც მარტივი მიზეზის გამო არ დაიჯერეს – რაც გასაყიდი იყო, გრიცენკოს უკვე ყველაფერი გაყიდული ჰქონდა. მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და სასჯელის მოსახდელად, ორენბურგის ციხეში გაგზავნეს.

2000 წლის ზაფხულში, გრიცენკო ციხიდან გამოუშვეს, რადგან სანიმუშო ყოფაქცევისთვის, წელიწადნახევარი აპატიეს.

გაგიკვირდებათ და, ციხიდან დაბრუნების შემდეგ, გრიცენკომ ცოლს პატიება სთხოვა, შეურიგდა და თევზის მაღაზიაში მტვირთავად მუშაობაც კი დაიწყო. თითქოს, ყველაფერი დალაგდა, მაგრამ გრიცენკომ კვლავ გაიხსენა არყის გემო და ყველაფერი ახლიდან დაიწყო – ცოლმა მიატოვა, სამსახურიდან გამოუშვეს... თუმცა, იმასაც ამბობდნენ, ცოლი მას შემდეგ გაექცა, რაც ერთხელ, მთვრალმა მოუყვა, როგორ აუპატიურებდნენ მას ორენბურგის ციხეში სხვა პატიმრები. გაითვალისწინეთ ისიც, რომ გრიცენკო, როგორც ძალოვანი უწყების ყოფილი თანამშრომელი, სასჯელს კოლეგებთან ერთად იხდიდა და არა – რიგით კრიმინალებთან. ცოლი მას სასამართლოს გზით, 2000 წლის 3 დეკემბერს დაშორდა და ამ შემთხვევაში, ეს თარიღი ძალიან მნიშვნელოვანია. განქორწინებიდან ერთ კვირაში, გრიცენკო ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში დარეგისტრირდა, სადაც შიზოფრენიით მკურნალობის კურსს გადიოდა.

2001 წლის 4 აპრილს, ზელენოგრადში ის ქალს დაესხა თავს და ჩაქუჩით უმძიმესი ტრავმები მიაყენა. მომდევნო ორი დღის განმავლობაში, გრიცენკომ საერთო ჯამში, თავდასხმა ხუთ ქალზე განახორციელა და ექიმებმა ორი მათგანის გადარჩენა ვერ მოახერხეს. ადგილობრივი სამართალდამცავები ფეხზე დადგნენ, მიხვდნენ, რომ ქალაქში მანიაკი გამოჩნდა და მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებდნენ. რაც მთავარია, ყველა თავდასხმა ცენტრალურ პარკში მოხდა და შესაბამისად, შსს-ს თანამშრომლების უდიდესი ნაწილი სწორედ იქ მორიგეობდა – ზოგს მეეზოვის ფორმა ეცვა, ზოგი ნაყინს და ტკბილეულს ყიდდა, ზოგიც – გაზეთებს, თუმცა სამდღიანი ტერორი შეჩერდა და ამის მიზეზი ძალიან მარტივი იყო – გრიცენკო დისპანსერში მივიდა და სამკურნალოდ დატოვეს, აქაოდა, მდგომარეობა გართულებული გაქვსო. პარალელურად, გადარჩენილი ქალების მონათხრობით, შეადგინეს ფოტორობოტი, რომელიც არაფრით ჰგავდა ნამდვილ დამნაშავეს. ერთკვირიანი მკურნალობის შემდეგ, მანიაკი დისპანსერიდან გაწერეს.

მისი გაწერიდან მალევე, თავდასხმა კიდევ სამ ქალზე განხორციელდა, საიდანაც ორი ისევ გარდაიცვალა და ქალაქი ისევ პანიკამ მოიცვა. ბედის ირონიით, გრიცენკომ ისევ საავადმყოფოს მიაკითხა და ამჯერად, გართულებული მდგომარეობის გამო, ის ორი თვით გამოკეტეს და ქალაქშიც თითქოს სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ დისპანსერიდან გათავისუფლებულმა მანიაკმა, კვლავ ჩაქუჩი მოიმარჯვა და სანადიროდ გავიდა. მის კისერზე უკვე ექვსი მკვლელობა იყო და ძალოვნებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ყველაფერი კი, ერთი ავტობუსის რიგითმა მძღოლმა დაასრულა. ის საღამოს, სამუშაოს შემდეგ, შინ ბრუნდებოდა, როცა დაინახა, როგორ დაესხა ვიღაც კაცი ქალს ჩაქუჩით და უმოწყალოდ ცემა დაუწყო. ასაკის მიუხედავად (65 წლის), მძღოლი მამაკაცს ხელებში ეცა, მიწაზე დააგდო და ხელები ქამრით გაუკოჭა, შემდეგ კი, გამვლელებს მილიციის გამოძახება სთხოვა. ასე დააკავეს 2001 წლის 19 ნოემბერს იური გრიცენკო, მანიაკი, რომელმაც შემდეგ „ზელეენოგრადელი ჩიკოტილოს“ მეტსახელი მიიღო.

სასამართლო რამდენიმე თვე გაგრძელდა, 2002 წლის 22 აპრილს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ გრიცენკო შერაცხადად სცნო და მას 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელის მოსახდელად კი მორდოვიის რესპუბლიკის, ზუბოვო-პოლიანსკის რაიონის სოფელ უდარნიში მდებარე, ნომერ მეათე გამოსასწორებელ კოლონიაში გადაიყვანეს.

სასჯელის მოხდის პირველივე წელს, გრიცენკოს სერიოზული ფსიქიკური პრობლემები დაეწყო. იგი თავს დაესხა ჯერ პატიმრებს, შემდეგ ბადრაგს და საბოლოო ჯამში, სასჯელის მოსახდელად ის სამარტოო საკანში გამოკეტეს, სადაც 13 წელი გაატარა. 2015 წელს, ჩვეულებრივ კოლონიაში დააბრუნეს და გრიცენკო ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ციხეში სამუშაო მიეღო, მაგრამ მას მხოლოდ ხე-ტყის საამქროში მუშაობის ნება დართეს და თანაც ისე, რომ ლითონთან არ ჰქონოდა შეხება.

ადმინისტრაცია შიშობდა, რომ მსჯავრდებული ლითონის საგნებს სხვა პატიმრების, ან ბადრაგის დასაშავებლად გამოიყენებდა.

2020 წელს, მისი ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, გრიცენკო სპეციალური ფსიქიკური კომისიის მეეთვალყურეობის ქვეშ მოათავსეს და იმის გათვალისწინებით, რომ მას სასჯელის ვადა გასდიოდა, დაიწყეს დაკვირვება და მსჯელობა, ვადის ამოწურვის შემდეგ, ის თავისუფლებაზე გაეშვათ, თუ ფსიქიატრიულში დაებრუნებინათ. ოფიციალური დოკუმენტაციით, გრიცენკოს სასჯელაღსრულების დაწესებულება, 2024 წლის 14 ივნისს ანუ ორიოდე კვირის წინ უნდა დაეტოვებინა, მაგრამ...

აქ იწყება ყველაზე საინტერესო – 2023 წლის სექტემბერში, გრიცენკომ რუსეთის პრეზიდენტის სახელზე დაწერა წერილი, რომლის მიხედვითაც, გათავისუფლების შემთხვევაში, ის მზად იყო, უკრაინაში გასამგზავრებლად და საბრძოლველად. არავის ეგონა, თუ პრეზიდენტი მას შეიწყალებდა. მეტიც, ექიმების რეკომენდაციის მიხედვით, გრიცენკოს თავისუფლებაზე გაშვება სახიფათო იყო და მას გათავისუფლების შემდეგ, მკურნალობა ფსიქიკურ დისპანსერში უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ... ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილებით, იური გრიცენკო შეწყალებულ იქნა და გათავისუფლების შემდეგ, ის უკრაინაში საბრძოლველად გაუშვეს. როგორც რუსული მედია წერს, მან უკვე მოიხადა კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა და შეუძლია, სახლში დაბრუნდეს, მაგრამ ის კვლავ უკრაინაში რჩება და ამბობს, რომ ომში თავს კარგად გრძნობს და არ იცის, სახლში დაბრუნების შემთხვევაში, მშვიდობიან გარემოში, რა უნდა გააკეთოს. აქ, ალბათ, წერტილის დასმაც შეიძლებოდა, მაგრამ მრავალწერტილი უფრო უპრიანი იქნება...

ვინ და რატომ მოკლა ქალაქში ცნობილი ექიმი ქალი

გაუფრთხილებლობით მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა

ბათო ჯაფარიძე

თუ საქმეში მოწმეს რამე ინტერესი არ აქვს, ის ოქროდ ფასობს ანუ მთავარია, მოწმე რომელიმე მხარის ინტერესს არ იცავდეს და ნეიტრალური იყოს, მერე ყველაფერი მარტივად ლაგდება – მოწმე ჩვენებას აძლევს სასამართლოზე, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას. საქმე, რომელიც ერთი შეხედვით რეზონანსული არ უნდა გამხდარიყო, სწორედ მოწმეების ჩვენების შედეგად აიხლართა და საბოლოოდ, ის შედეგი დადგა, რომელიც არ უნდა დამდგარიყო.

დედაქალაქში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ავტომობილი, რომელსაც ქალი მართავდა, ფეხით მოსიარულეს დაეჯახა. ქალს გაქცევა არ უცდია, პირიქით, დაზარალებულის დახმარებას ცდილობდა, ბოლო ხმაზე ყვიროდა, სასწრაფოს გამოუძახეთო და, რა თქმა უნდა, სასწრაფო დახმარების მანქანასთან ერთად, სამართალდამცავებიც მივიდნენ. ექიმებმა იქვე თქვეს, დაზარალებული გარდაცვლილიაო, ძალოვნებმა მისი ვინაობა გაარკვიეს – 32 წლის ქალი, რომელიც სავარაუდოდ, შინ მიდიოდა და იმის გამო, რომ უკვე დაღამებული იყო, ვარაუდობდნენ, გარდაცვლილი იქვე, ახლოს ცხოვრობდა, თუმცა ადგილობრივებმა ვერ იცნეს და თქვეს, აქაური არ უნდა იყოსო.

„შეგიძლიათ, არ დამიჯეროთ, მაგრამ იმედია, ვინმე კიდევ დაინახავდა. მე ამ ქალს არ დავჯახებივარ, თან ნელა მოვდიოდი. მას ვიღაც კაცი ეკამათებოდა, სწორედ იმ კაცმა ჰკრა ხელი და პირდაპირ ბორბლებში შემომიგდო, დამუხრუჭებაც ვერ მოვასწარი ნორმალურად, რადგან მანძილი ძალიან მცირე იყო და სწორედ ამიტომ, თითქმის გადავუარე. არ მჯერა, რომ სხვამ ვერავინ დაინახა“, – ამბობდა ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე მანქანის მძღოლი და რა თქმა უნდა, სამართალდამცავებს მისი არ სჯეროდათ, რადგან მოწმე, რომელიც მის სიტყვებს დაადასტურებდა, უბრალოდ, არ ჩანდა, თუმცა...

მძღოლი დააკავეს, ქალის ვინაობა გაარკვიეს, საცხოვრებელიც და... ერთბაშად ორი მოწმე გამოჩნდა, რომლებიც სიტყვა-სიტყვით იმეორებდნენ იმას, რასაც მძღოლი ამტკიცებდა – გარდაცვლილი ვიღაც მამაკაცს ეკამათებოდა, შემდეგ კი, ამ კაცმა შეგნებულად, ძალით ქალს ხელი კი არ ჰკრა, არამედ, პირდაპირ ისროლა მომავალი მანქანის საბურავებისკენ და დამუხრუჭება წარმოუდგენლად რთული იყო. გაჩნდა ეჭვი, რომ დაკავებულის მეუღლემ (რომელსაც ფული ნამდვილად არ უჭირდა), ეს მოწმეები იპოვა, მოისყიდა, ფული გადაუხადა, ყალბი ჩვენება მიაცემინა, მაგრამ... ყველაფერი ეს, დროში არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ჯერ ერთი, ქალი ადვოკატთან არ იყო შეხვედრილი და ქმარს მისი ვერსია არ ეცოდინებოდა და მეორეც, ორივე მოწმე ასაკში იყო, რაც ქრთამის მიღების ფაქტს თითქმის გამორიცხავდა – ამ ასაკში ადამიანები ძალიან ფრთხილობენ და რაც მთავარია, ჯვარედინი დაკითხვის მიუხედავად, ისინი ჯიუტად ერთსა და იმავეს იმეორებდნენ ანუ ყველაფერს ზუსტად ისე ჰყვებოდნენ, როგორც ნამდვილი მოწმეები, რომლებმაც ყველაფერი მართლაც, საკუთარი თვალებით დაინახეს.

„გუშინ იმიტომ არ ჩამოვედით ეზოში, რომ ჯერ ერთი, გვიანი იყო და მეორეც, დარწმუნებულები ვიყავით, რომ ჩვენს გარდა, ვინმე დაინახავდა და იტყოდა, რომ ის ქალი მანქანის ქვეშ მამაკაცმა შეაგდო. დღეს კი, უბანში გავიგეთ, ერთი მოწმეც ვერ უპოვიათ და ამიტომ, საკუთარ მოვალეობად ჩავთვალეთ, აქ მოვსულიყავით და სიმარლე გვეთქვა. რა თქმა უნდა, იმ კაცის აღწერას ვერ შევძლებთ, რადგან ღამე იყო, მაგრამ ის რომ მამაკაცი გახლდათ, უეჭველია“, – ამბობდნენ მოხუცები.

ეს კი, უბედურ თუ ავტოსაგზაო შემთხვევას კი არა, მკვლელობას ჰგავდა და ძალოვნებსაც იმაზე მეტი უნდა ეშრომათ, ვიდრე გეგმავდნენ. გარდაცვლილი გათხოვილი იყო, როგორც თვითონ, ისე მეუღლე, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები გახლდნენ, ყველას ეხმარებოდნენ, ყველა მადლიერი ჰყავდათ. იმდენად კარგი სპეციალისტები იყვნენ, რომ ისინი კლიენტებს სახლშიც აკითხავდნენ, იქაც უწევდნენ მომსახურებას და ყველა ბედნიერი იყო. ერთადერთი, რაც ოჯახის სატკივარი გახლდათ, უშვილობა იყო, თუმცა ეს პრობლემაც მოგვარდა და... გარდაცვლილი ერთი თვის ფეხმძიმე გახლდათ. ქმარი ადგილს ვერ პოულობდა, მაგრამ ის კი თქვა, სადაც ავარია მოხდა, იქვე, ახლოს მდებარე კორპუსში, კლიენტთან იყო, რომელსაც სპეციალურ მასაჟს უკეთებდაო. კლიენტი ახალგაზრდა გოგონა გახლდათ, რომელიც აშკარად ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა, რადგან სახლი საკმარისზე მეტად მდიდრულად ჰქონდა მორთულ-მოკაზმული, ტანისამოსიც არ ეცვა იაფფასიანი და სამკაულებიც მრავლად ეკეთა. მერე გაარკვიეს ძალოვნებმა, მას მდიდარი საყვარელი ჰყავდა, 50 წელს გადაცილებული კაცი, რომელიც ყველაფრით ანებივრებდა. გოგონამ სამართალდამცავები რომ დაინახა, ტაში შემოჰკრა, რა კარგია, გავერთობიო, მაგრამ მერე, როცა გაიგო, რომ მისი ექიმი გარდაიცვალა, შეწუხდა, ოღონდ მისი სიკვდილის გამო კი არა, საკუთარი თავის გამო, ასეთი კარგი პროფესიონალი ახლა სად ვნახოო?

„მე არაფერი ვიცი. მოვიდა, მასაჟი გამიკეთა და წავიდა. მასაჟის შემდეგ, ერთი საათი არ ვდგები, ასე უფრო სასარგებლოა, თურმე და ამიტომ, არც ფანჯრიდან გამიხედავს, არც ხმაური გამიგია, კარიც იმ ქალმა თავად გაიხურა“, – თქვა გოგონამ და აშკარა იყო, მისგან მეტს ვერაფერს გაიგებდნენ.

მორგთან უამრავი ადამიანი ტრიალებდა, მიცვალებული სახლში უნდა გადაესვენებინათ და ყველაზე მეტად ერთი წყვილი აქტიურობდა, ცოლ-ქმარი და როცა სამართალდამცავები მათი ვინაობით დაინტერესდნენ, ქმარმა ამოიოხრა და თქვა, ჩვენი ოჯახის საუკეთესო მეგობრები არიან, ეს ქალი ჩემი ცოლის თანაკლასელია, იქიდან დაქალობენ, ეს კაცი მისი ქმარია, ყოველ უქმეებს ერთად ვატარებდით, შვილი მათაც არ ჰყავთ, თუმცა მათ ბევრად სერიოზული პრობლემა ჰქონდათ და ბავშვის აყვანას აპირებდნენო. ისინი აშკარად შეწუხებულნი იყვნენ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო – მწარე რეალობა უნდა მიეღოთ.

„დაახლოებით, ექვსი თვის წინ, მთელი კლასი შევიკრიბეთ, ძველი დრო გავიხსენეთ. ქმრებსა და ცოლებთან ერთად ვიყავით, ისე გვიხაროდა ერთად ყოფნა... ამ უბედურმა პირობა დადო, ჩემი შვილი რომ დაიბადება, ნათლობაზე ისევ ყველას შეგკრებთო და აგერ, შეგვკრიბა კიდეც. არ ვიცი, რა ვიფიქრო, ვინ შეიძლებოდა გადაჰყროდა, ვისთან შეიძლებოდა კამათი მოსვლოდა... ვერ ვხვდები, მიახლოებითაც კი ვერ ვხვდები“, – მოთქვამდა დაქალი.

გამოძიება ჩიხში შევიდა, არც ვერსია ჰქონდა, არც ეჭვმიტანილი ჰყავდა, მაგრამ, მოულოდნელად, განყოფილებაში იმ გოგომ დარეკა, გამომძებელს სულელად რომ მოეჩვენა.

„იცით, ახლა გამახსენდა, როცა კარი გაიხურა და წავიდა, მგონი, კიბეზე ვიღაც ნაცნობს შეხვდა, ახლა აღვიდგინე, ვიღაცას ჰკითხა, ვაა, შენ აქ რა გინდაო“, – ღიმილით თქვა გოგონამ და აშკარად ეტყობოდა, რომ საკუთარი თავით კმაყოფილი იყო, რადგან მისი აზრით, რაღაც მნიშვნელოვანი გაიხსენა. რეალურად კი, ეს მართლაც მნიშვნელოვანი იყო. გამოძიებამ რადგანაც დაადგინა, ვისთან იმყოფებოდა ქალი, დანარჩენი მეზობლები, უბრალოდ, აღარ გადაამოწმა და ახლა გაირკვა, რომ გარდაცვლილი იქ სხვასაც იცნობდა. დაიწყო სამეზობლოს შემოწმება და მალე გაირკვა, რომ ერთი სართულით ქვემოთ, გარდაცვლილის თანაკლასელი ცხოვრობდა.

„ეგ ერთი თავქარიანი ქალია, ხან ერთი მამაკაცი დადის მასთან, ხან – მეორე. ბოლო დროს, შემოეჩვია ერთი და მგონი, ვეღარ იშორებს, სულ აქ არის“, – თქვეს მეზობლებმა და იმ კაცის ფოტორობოტიც დეტალურად შეადგინეს, რომელიც იმ ქალთან ბოლო დროს ხშირად დადიოდა. ფოტორობოტი გარდაცვლილის მეუღლეს აჩვენეს და მან გაოცებულმა თქვა, ამ კაცს როგორ არ ვიცნობ, ჩემი უახლოესი მეგობარია, მაგის ცოლი ჩემი ცოლის თანაკლასელია და თქვენც უნდა გახსოვდეთ, გასვენების ამბები მთლიანად მაგათ კისერზე გადავიდაო. გამოდიოდა, რომ გარდაცვლილმა უახლოესი დაქალის ქმარი სხვა ქალის სახლში ნახა და... სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილი ბევრი ფიქრის გარეშე დააკავეს და პირდაპირ ბრალი წაუყენეს გაუფრთხილებლობით მკვლელობაში.

„ყველაფერი იმდენად სწრაფად მოხდა, დღესაც არ მჯერა, რომ ეს მე გადამხდა და შემემთხვა. ჰო, ჩემი ცოლის თანაკლასელი მათ შეკრებაზე გავიცანი და რაღაცნაირად ურთიერთობა აგვეწყო. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემი ცოლის დაქალი, ჩვენი ოჯახის უახლოესი ადამიანი, ამავე კორპუსში მასაჟს აკეთებდა. იმ საღამოს ჩემი საყვარელი მაღაზიაში გავიდა, მე შინ შორტებით ვიყავი და როცა კარი გავაღე... ხელში აწ უკვე გარდაცვლილი შემრჩა. ის მაშინვე ყველაფერს მიხვდა და რა თქმა უნდა, დამემუქრა, ამ ამბაავს არ დავმალავო და კიბეზე დაეშვა. მაშინვე შარვალი ამოვიცვი, უკან დავედევნე და ვემუდარებოდი, ჩემთვის ოჯახი არ დაენგრია. ის კი შეუვალი იყო, ჯიუტად იმეორებდა, ნახავ, რაც მოგივაო. ხელი სიბრაზით ვკარი, სულ ვერ ვხედავდი, მანქანა რომ გვიახლოვდებოდა, მერე კი, შემეშინდა და გავიქეცი“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ მას არ დაუჯერა, რომ ყველაფერი სპონტანურად მოხდა და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

ბოშა – ერთი შეხედვით, კოლორიტი, რომელიც თბილისს ალამაზებდა, მაგრამ მერე და მერე, ეს სილამაზე სადღაც გაქრა. მარტო საქართველოში კი არა, მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ბოშები ტყუილთან, მკითხაობასა და კრიმინალთან ასოცირდებოდნენ. არაერთ რესპუბლიკაში, რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მათ მიმართ აგრესია გაჩნდა და სავარაუდოდ, ამ აგრესიის შესაკავებლად, ბოშათა ცხოვრების ერთგვარი რომანტიზმის კამპანია დაიწყო. გადაიღეს ფილმი „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება“, მერე იყო ფილმი „ბოშა“, რომლის მთავარი გმირი, ბუდულაი ერთგვარი რაინდი გახლდათ... დღეს კი... დღეს, ბოშების აბსოლუტური უმრავლესობა მათხოვრობს, თუმცა ამას უფრო ყაჩაღობა და ძარცვა ჰქვია – მოდის არასრულწლოვანი ბოშა და გეუბნება, ან ხურდა მომეცი, ან შეგაფურთხებო. მეტიც, რამდენიმე ბავშვი თუ მოგიახლოვდა, უხეშად ძვრება ჯიბეში, ფულს ეძებს, გპარავს, გართმევს... და სამართალდამცავები ვერაფერს აკეთებენ, რადგან ჯერ ერთი, ისინი არასრულწლოვნები არიან და მეორეც, მათ უმრავლესობას არ აქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, არ აქვს საბუთი. ისე, ნამდვილი ბოშა თითებზე დასათვლელია, ისინი ამბობენ, რომ არ მათხოვრობენ, კრიმინალს არ სჩადიან და ყველაფერ ამას არა ბოშები, არამედ, მოლდოვანები აკეთებენ ანუ მოლდოვური წარმოშობის ხალხი, რომლებიც ბოშობას იბრალებენ...

ბოშების ბარონის 15 წლის საყვარლის ტრაგიკული ამბავი

როგორ აღმოჩნდა რუსი ოფიცრის ქალიშვილი ბოშების ხელში

ჩემს ბავშვობაში მშობლები გვაფრთხილებდნენ ხოლმე, ეზოდან არ გახვიდეთ, თორემ ბოშები მოგიტაცებენ და ვეღარ გიპოვითო. ბავშვებსაც გვჯეროდა და ბოშების მიმართ შიშიც გვქონდა... ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, გმირი არ ჰყავს, ეს არის თავიდან ბოლომდე ერთი დიდი ტრაგედია, რომელიც შეიძლებოდა, არც მომხდარიყო, მაგრამ...

როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, საქართველოშიც რუსი ოფიცრები იშვიათობა არ იყო. ისინი ჩამოდიოდნენ ოჯახებით, აქ ცხოვრობდნენ რამდენიმე წელი, შემდეგ კი, სამსახური სხვა რესპუბლიკაში გაისროდა. სამხედრო ოფიცრის ცოლობა ძნელი გახლდათ, მთელი კარიერის განმავლობაში, ქმრისთვის უნდა გედევნა და ერთ ადგილზე ვერ მკვიდრდებოდი. ცალკე იტანჯებოდნენ ბავშვებიც, რადგან ერთი წელი ერთ რესპუბლიკაში სწავლობდნენ, მერე – მეორე რესპუბლიკაში, მერე – სხვაგან და მერე – კიდევ სხვაგან. ჰოდა, ერთ-ერთმა ასეთმა ოფიცერმა, დასავლეთ საქართველოში სამსახურის შემდეგ, ცოლი, უბრალოდ, დატოვა, აქაოდა, ადგილობრივებთან მღალატობდა და ასეთი ქალი არ მჭირდებაო. ცოლთან ერთად, დარჩა 8 წლის შვილი, პატარა გოგონა, რომელიც ვერ ხვდებოდა, რატომ არ წაიყვანა მამამ ისინი მორიგი თავგადასავლისთვის. ქალი მალევე გალოთდა და სასმლის გულისთვის ყიდდა და აკეთებდა ყველაფერს, რისი გაკეთებაც და გაყიდვაც კი შეიძლებოდა. სამიოდე თვეში, თავმომწონე ქალი ჭუჭყიან, გასიებულსახიან, სუნიან „ბომჟად“ იქცა და მასთან მიახლოებაც შეუძლებელი იყო, ისე ყარდა სასმელის, ჭუჭყისა და შარდის სუნით.

მეზობლებს ბავშვი ეცოდებოდათ, რომელსაც სამადლოდ აჭმევდნენ და წესით, საქმეში სამართალდამცავები უნდა ჩარეულიყვნენ, მაგრამ ვერ თუ არ ეცალათ. ბოლოს, ისე მოხდა, რომ ორი ბოთლი არყის სანაცვლოდ, დედამ შვილი ბოშებს მიჰყიდა და მოხეტიალე ტომმაც გოგონა მარტივად წაიყვანა. ქერა, ცისფერთვალება ბავშვი მათ დამატებით შემოსავალს მათხოვრობით მაინც მოუტანდა, აი, მერე, როცა გაიზრდებოდა...

ბოშათა ბანაკი იქიდან მალე აიყარა და სხვა ნავსაყუდელი იპოვა. იქაურებმა იცოდნენ, რომ მათი მეთაური სასჯელს იხდიდა, მაგრამ როცა ციხიდან გამოვიდოდა, ყველას აიძულებდა, კვლავ კრიმინალით დაკავებულიყვნენ და ნაძარცვი მისთვის მიეტანათ. მაშინ ბევრმა არ იცოდა, რომ სწორედ ეს, ბოშათა მეთაური, იმ პატარა გოგონას ცხოვრებას მთლიანად შეცვლიდა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანდა სიკვდილამდე.

ბოშათა ბანაკი ადგილს ხშირად იცვლიდა და სამართალდამცავები მშვიდად იყვნენ, რადგან არც მოსვლის და არც მათი წასვლის შემდეგ, სერიოზული დანაშაული არ ფიქსირდებოდა, თუმცა... მალე, აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში დაბანაკებულ ბოშათა სამყოფელის ახლოს, უმძიმესი დანაშაული მოხდა – მოხუცი პენსიონერ ქალს ყელი გამოჭრეს. ძალოვნებს ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდათ, რადგან მკვლელობა თითქოს სპონტანური იყო, ქალი პირდაპირ სახლის ზღურბლზე ეგდო. ისე ჩანდა, რომ ვიღაცამ დააკაკუნა, ქალმა კარი გააღო და მაშინვე დანა დაარტყა. მეზობლების თქმით, გარდაცვლილი პენსიით ცხოვრობდა, იშვიათად თუ გაყიდდა კვერცხს ან ხილს, რაც დამატებითი შემოსავალი კი იყო, მაგრამ არა იმდენი, რომ ვინმეს ჰგონებოდა, ბევრი ფული აქვსო. მაშ, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი? ქალს ქმარი გარდაცვლილი ჰყავდა, შვილები და შვილიშვილები ქალაქში ცხოვრობდნენ და ჩვეულებრივი მშრომელები იყვნენ, საშუალო ფენის წარმომადგენლები, რომელთა მიმართ ამგვარი შურისძიება წარმოუდგენელი იყო. ექსპერტის დასკვნაში კი ეწერა, რომ ქალი ორლესული იარაღით იყო მოკლული ანუ დანა, რომლითაც მოკლეს, ორივე მხარეს გალესილი იყო.

„ასეთი დანები ბოშებს აქვთ, მაგრამ რაში სჭირდებოდათ მოხუცის მოკვლა, როცა ისინი მკვლელობაზე მხოლოდ მაშინ მიდიან, როცა დიდი განძი ეგულებათ. არ ჯდება ლოგიკაში, ასე მცირედზე ისინი ხელს არ გაისვრიდნენ“, – ამბობდა გამომძიებელი და სტატისტიკას იშველიებდა. სტატისტიკის მიხედვით, ის მართალი იყო, ისე კი...

ბოშათა ბანაკში ჩხრეკის ჩატარებას აზრი არ ჰქონდა. ჯერ ერთი, ვერაფერს იპოვიდნენ და მეორეც – გამორიცხული იყო, ბოშას ბოშა ჩაეშვა, ალიბის მოფიქრება და შეთხზვა არ გაუჭირდებოდათ. ამიტომ, საქმე სხვა მიმართულებით წავიდა, თუმცა ყველა ხვდებოდა, რომ მკვლელობას შემთხვევა თუ გაახსნევინებდა, სხვაგვარად გამორიცხული იყო, ეს საქმე გახსნილიყო.

მომხდარიდან ორი თვე გავიდა და მეზობელ რაიონში, სადაც უკვე გადასული იყო ბოშათა ბანაკი, მორიგი მკვლელობა მოხდა. ამჯერად, მამაკაცი მოკლეს, ისიც საკუთარ სახლში და ბინა პირწმინდად გაასუფთავეს. როგორც მეზობლები ამბობდნენ, კაცი მეფუტკრე იყო, ორასამდე სკა ჰყავდა და საკმაოდ შეძლებულადაც ითვლებოდა. სამართალდამცავები კი იმან დააინტერესა, რომ ისიც ორლესული დანით იყო მოკლული და მალე ექსპერტმა დასკვნა დადო – მეზობელ რაიონში მოკლული პენსიონერი ქალი და ახლა მოკლული მამაკაცი ერთი და იმავე ცივი იარაღით იყვნენ გარდაცვლილნი. ძალოვნებს უკვე ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ მკვლელი სწორედ ბოშათა ბანაკში უნდა ეძებნათ, მაგრამ ვისთვის დაედოთ ხელი? ბოშები ერთმანეთს არ ჩაუშვებდნენ, თუმცა...

„მათ ბანაკში არის გოგონა, რომელიც არ არის ბოშა, სავარაუდოდ, რუსია. როგორმე ის უნდა გამოვიტყუოთ ბანაკიდან და დავკითხოთ. თუ „სისხლი არ გადაუსხეს“, აუცილებლად ალაპარაკდება“, – ასეთი იყო გამოძიების ვერსია, მაგრამ გოგონას გამოტყუება მარტივი ნამდვილად არ იქნებოდა. თვალთვალის შემდეგ გაირკვა, რომ გოგონა ჩრდილივით დაჰყვებოდა მათ ბარონს, მეთაურს, რომლისაც ყველას ეშინოდა და რომელსაც ციხე ახალი დატოვებული ჰქონდა. გაჩნდა ეჭვი, რომ მკვლელობის ჩამდენი თუ არა, დამკვეთი მაინც, შესაძლოა, სწორედ ის ბარონი ყოფილიყო, რომელსაც მთელი ბანაკი ხელში ეჭირა და გოგონას აშკარად ბევრი რამ ეცოდინებოდა.

„მერე რა, რომ გოგო 15 წელს მიუღწეველია, ის ღამით ბარონის კარავში რჩება და სავარაუდოდ, მისი საყვარელია. ჩვენ შეგვიძლია, ბანაკში შევიდეთ და იქაურობა შტურმით ავიღოთ, ბარონიც დავაპატიმროთ, მაგრამ დიდი შანსია, ყველაფერ ამას მსხვერპლი მოჰყვეს“, – მსჯელობდნენ სამართალდამცავები, მაგრამ რაღაც აუცილებლად უნდა ეღონათ. თანაც, ის უცხო გოგონა, თანატოლებისგან განსხვავებით, სამათხოვროდაც არ დადიოდა, იქ მაინც რომ დაეჭირათ ძალოვნებს. გადაწყდა, ბანაკში დღისით შესულიყვნენ, მაშინ, როცა თითქმის ყველა საშოვარზე იქნებოდა გასული და ბანაკში მხოლოდ ბარონი და ყველაზე ბევრი, 15 ადამიანი იქნებოდა. ყოველი შემთხვევისთვის, შსს-ს თანამშრომლებმა, დახმარება თავდაცვის სამინისტროს სთხოვეს და ბანაკთან ახლოს, საჯარისო შენაერთიც განთავსდა, თუმცა ბარონის დაკავება ბევრად მარტივი აღმოჩნდა – სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია და მათაც, ის, გოგონასთან ერთად, იოლად დააკავეს. ბარონი ძალოვნების ნაცვლად, თანამემამულეებს უყურებდა ჩასისხლიანებული თვალებით და თან ბურდღუნებდა, რომ დავბრუნდები, სჯობს, აქ არ დამხვდეთო. ძალოვნებს იმედი ჰქონდათ, რომ ბოშები მის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემდნენ, მაგრამ ამაოდ – ხმის ამოღებას არავინ აპირებდა. სამაგიეროდ, ბარონს ქამარზე ორლესული დანა ეკიდა და... სამართალდამცავებს გოგონას იმედიც ჰქონდათ.

„მე დედამ გამყიდა, მას შემდეგ, ამათთან ვარ. სანამ ეს კაცი მოვიდოდა ბანაკში, ვმათხოვრობდი, მერე ამის საყვარელი გავხდი და ყველგან თან დამატარებდა. კარზე მე ვაკაკუნებდი ხოლმე, რუსული გარეგნობის გამო, ადვილად მიღებდნენ კარს. ის ქალი ამან მოკლა იმიტომ, რომ დაგვინახა, ტყეში როგორ ძალადობდა ჩემზე და დაემუქრა, შენს თავს დავაჭერინებო. ეს უკან ჩუმად გამოჰყვა, კარზე მე დამაკაკუნებინა, მიშველე, გამოვეპარე-მეთქი, ასე მათქმევინა და როცა კარი გააღო, დანა გაუყარა. იმ კაცთანაც მე დავაკაკუნე და ისიც მოკლა. თავის მოკვლა ვცადე რამდენჯერმე, მაგრამ არ გამომივიდა“, – მოთქვამდა გოგონა, რომელსაც ძალიან ავადმყოფური შეხედულება ჰქონდა და კვლევებმა აჩვენეს, რომ მას იშვიათი დაავადება, სისხლის სიმსივნე სჭირდა და გადარჩენის შანსი, პრაქტიკულად, არ იყო.

სასამართლომ ბარონს დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა შემდეგ განაჩენი 15 წლით თავისუფლების აღკვეთით შეიცვალა.

პროკურატურამ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე, ორ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მომხდარი დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე, ორ პირს ბრალდება წარუდგინა – ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

საგამოძიებო უწყების ცნობით, ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდათ.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 25 ივნისს, ბრალდებულებმა ფ.ქ.-მ და ე.ქ.-მ, დაზარალებული საგარეჯოს რაიონის სოფელ ქეშალოში, ერთ-ერთი ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში შეიტყუეს, რის შემდგომაც გაკოჭეს და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. აღნიშნული ფაქტი ბრალდებულებმა მობილური ტელეფონით გადაიღეს და მოგვიანებით, ვიდეოჩანაწერი ინტერნეტსივრცეში განათავსეს, რომელსაც დაზარალებულისთვის შეურაცხმყოფელი ტექსტი მიაწერეს.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული 28 ივნისს დააკავეს. ფ.ქ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), 1443 მუხლის პირველი ნაწილით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) და 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ჯგუფური ძალადობა), ხოლო ე.ქ.-ს – სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვა დამნაშავე პირთა გამოვლენისა და დადგენის მიზნით გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

პოლიციამ თბილისში ყაჩაღობისა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ბრალდებით, ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1985 წელს დაბადებული გ.წ., ყაჩაღობისა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მუხიანში, ორ მოქალაქეს თანხა მოსთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი მათ მიმართ ფიზიკურად იძალადა და ბასრი საგნის გამოყენებით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებები მიაყენა. სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე და 120-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობასა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

21 წლის ქეთევან ჯავახიშვილის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობისთვის დაკავებულ ოთარ ცინდელიანის ადვოკატის განცხადებით, ბრალდებული 14 წლიდან ნარკოტიკებზეა დამოკიდებული

21 წლის ქეთევან ჯავახიშვილის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობისთვის დაკავებულ ოთარ ცინდელიანის ადვოკატის, კლარა შუკვანის განცხადებით, ბრალდებული 14 წლიდან ნარკოტიკებზეა დამოკიდებული.

ადვოკატის თქმით, მკვლელობა გენდერის ნიშნით არ მომხდარა.

„პირველ რიგში, მშობლებს და ახლო ნათესავებს ვუსამძიმრებ, ძალიან ცუდი ტრაგედია მოხდა, ეს არის ტრაგედია. სამწუხაროდ, დღეს ნარკოტიკული საშუალებები ნებადართულია, რის შედეგადაც, ასეთი შედეგი მივიღეთ. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, სამწუხაროდ, 14 წლიდან ყოფილა ნარკოტიკების მომხმარებელი, ახლა ისეთი მდგომარეობა ჰქონდა, დიდი დოზაც არ ჰყოფნიდა, ამ ნარკოტიკების ზემოქმედების შედეგად, ნორმალურ მდგომარეობაში არ იყო და ეს უბედურება დატრიალდა. პროკურატურას შეთხზული აქვს ისე საქმე, თითქოს, გენდერული ნიშნით მოხდა მკვლელობა. არცერთი მტკიცებულება არ ადასტურებს, რომ მკვლელობა გენდერის ნიშნით მოხდა. სასჯელს არავინ გაურბის, ოჯახის წევრებიც ხელს უწყობდნენ, რომ ჩაბარებულიყო“, – განაცხადა შუკვანმა.

ცნობისთვის, ქეთი ჯავახიშვილი 28 თებერვალს, ლილოში, სახლთან ახლოს მოკლეს. სამართალდამცავებმა მომხდართან დაკავშირებით მოკლულის შეყვარებული, ოთარ ცინდელიანი დააკავეს, რომელიც ამასთანავე, მოკლულის ნათლიის შვილია.

ცინდელიანი უწყებაში თავად გამოცხადდა, თუმცა პროკურატურის ინფორმაციით, მას ქვეყნის დატოვების მცდელობა ჰქონდა.

ქეთი ჯავახიშვილს სხეულის თითქმის ყველა ორგანოზე 59 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, ყველა მათგანი სიცოცხლის დროინდელი იყო.

ოთარ ცინდელიანს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ და „მ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სასაზღვრო პოლიციამ უცხო ქვეყნის ერთი მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის ფაქტზე დააკავა

სასაზღვრო პოლიციამ უცხო ქვეყნის ერთი მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის ფაქტზე დააკავა.

ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ბათუმის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „სარფის“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, სასამსახურო ძაღლის გამოყენებით, უცხო ქვეყნის ერთი მოქალაქე – 1996 წ. დაბადებული ე.მ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის ფაქტზე დააკავეს.

დანაშაული ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოს მიმართულებით, უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთას გულისხმობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

მადლობა, ბიჭებო ანუ ზღაპრის ბოლო მაინც კეთილია

საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. ეს იყო პირველი დიდი ფორუმი, სადაც საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო და თავი ძალიან, ძალიან ღირსეულად წარმოაჩინა. მოდით, პირდაპირ ვთქვათ – არავინ ელოდა, რომ ჩვენი გუნდი ასე ითამაშებდა, ასე ღირსეულად წარმოაჩენდა, როგორც საკუთარ თავს, ისე – ქვეყანას. ახლა უკვე ზუსტად ვიცით, რომ ევროპაში მაინც, არავინ კითხულობს, რომელი „ჯორჯია“, ყველამ იცის, რომ „ჯორჯია“ ამერიკის შტატი კი არა, ქვეყანაა, რომელსაც ამაყი შვილები და ამაყი ფეხბურთელები ჰყავს.

საქართველო მოხვდა ევროპის 16 საუკეთესო ნაკრებს შორის და უფრო გვიან დატოვა ევროპის ჩემპიონატი, ვიდრე, მაგალთად, იტალიამ. ჰო, იტალიამ, რომელიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია და რომელიც ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა. ჩვენ დავმარცხდით ნაკრებთან, რომელიც უკვე სახელდება კონტინენტის პირველობის მოგების უპირველეს ფავორიტად და რაც მთავარია, ამ ნაკრებს ვუგებდით, ამ ნაკრებს გავუტანეთ პირველი გოლი ევროპაზე, რადგან ჯგუფური ეტაპი გოლგაუშვებლად ჰქონდა დასრულებული.

და მაინც, გამოცდილების გარდა, რა მოგვცა ევროპის ჩემპიონატმა? პირველი ის, რომ ქართველი ფეხბურთელების მიმართ ინტერესი გაიზარდა და გადაჭრით შეგვიძლია იმის თქმა, რომ მაგალითად, გიორგი მამარდაშვილი აუცილებლად ითამაშებს გრანდში, გიორგი მიქაუტაძე არ ითამაშებს საფრანგეთის მეორე დივიზიონში და ბევრად ძლიერ გუნდში გადავა, ხვიჩა კვარაცხელია აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას, აუცილებლად გადავა გიორგი ქოჩორაშვილი სეგუნდადივიზიონის კლუბიდან უფრო უკეთესში და ასე, შეიძლება, ყველაზე ვთქვათ, თითოეულ წევრზე, რომლისთვისაც ეს პირველობა მართლა ზღაპარი იყო, რომელიც აუცილებლად გაგრძელდება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართველი გულშემატკივარი, რომელიც ერთ მუშტად დადგა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ რომელი პარტიის მხარდამჭერი და წევრი იყო, თამაშის დღეს, საქართველო ერთად იდგა. ეს შეუძლია ფეხბურთს, ეს შეუძლია სახალხო თამაშს და მთელმა ერმა იგრძნო, რომ ერთად დგომით, მსოფლიოს ალაპარაკება შეუძლია, საყოველთაო პატივისცემის მოპოვება შეუძლია. თურმე, შეგვძლებია ერთმანეთის სიყვარული, თურმე, როცა ქვეყანას სჭირდება, ისევ შეგვძლებია ერთად დგომა და ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდა.

რა იქნება ხვალ? ხვალ, ცივი გონებით მივხვდებით იმას, რომ ეს ზღაპარი გვაჩუქეს და მას გაგრძელება აუცილებლად ექნება, რადგან ნაკრებმა საკუთარი თავის ირწმუნა, დაიჯერა, რომ შეუძლია, რომ შეგვიძლია და მხოლოდ ფეხბურთით არ მთავრდება სპორტული ცხოვრება. რამდენიმე დღეში, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ოლიმპიადის საგზურისთვის იწყებს ბრძოლას და მისი მოპოვების ძალიან კარგი შანსი გვაქვს. მერე კი, ოლიმპიადის ჯერი დგება, იმ ოლიმპიადის, რომელზეც ლაშა ტალახაძემ ოქროს მედალი უნდა ასწიოს, ტატო გრიგალაშვილმა დაამტკიცოს, რომ ტყუილად არ გამხდარა მსოფლიოს ჩემპოიონი ზედიზედ სამჯერ, სანდრო ბაზაძე უნდა გახდეს დამოუკიდებელ საქართველოში პირველი მოფარიკავე, რომელიც ოლიმპიურ ოქროს მოიგებს, ლაშა ბექაურმა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული უნდა დაიცვას და კიდევ აუცილებლად უნდა გაისროლოს ვინმემ, ისეთმა, რომლისგანაც თითქოს არ ველით. ოლიმპიადის შემდეგ კი, 2024 წლის 7 სექტემბერს, ერთა ლიგის გათამაშება იწყება და საქართველო ჩეხეთს მასპინძლობს, იმ ჩეხეთს, ახლა ევროპაზე ფრედ რომ ვეთამაშეთ. 10 სექტემბერს, იმავე ერთა ლიგაზე, ალბანეთს ვსტუმრობთ და ჯგუფში ამ ორი ნაკრების გარდა, უკრაინაც გვყავს. ჰოდა, თუ ერთა ლიგას მოვიგებთ, როგორც გასულ წელს მოვიგეთ, პლეი-ოფი გველოდება და... ეს ერთა ლიგა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვისაა და ვინ იცის, წინ უფრო დიდი ზღაპარი გველოდება... აუცილებლად გველოდება...

ისტორია, რომელიც თითქმის არავინ იცის

ანტონიო ლოპესი საფეხბურთო აგენტია და საქართველოში ერთი ხელის თითზე ჩამოსათვლელი მეგობრები ჰყავს. ჰოდა, ლოპესი წლების წინ მომხდარ ისტორიას იხსენებს, რომელიც, სავარაუდოდ, ყველამ უნდა იცოდეს.

„ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, ლევან სარალიძემ დამირეკა. მისი ძმა, ილია საქართველოში ცხოვრობს და მითხრა, რომ ჰყავთ 19 წლის მეკარე, რომელსაც ყველანაირი მონაცემი აქვს იმისთვის, რომ უმაღლეს დონეზე იასპარეზოს. მისი სახელი და გვარი მითხრეს, გიორგი მამარდაშვილი და მოვინიშნე, 21-წლამდელთა ნააკრებში მისი თამაში ვნახე, მერე ევროთასებზე, თბილისის „ლოკომოტივი“ ესპანურ „გრანადას“ შეხვდა და იქაც დავაკვირდი. მონაცემები აშკარად ჰქონდა და ვუთხარი, ესპანეთში ჩამოსულიყო. მახსოვს, მარტო ჩამოვიდა, მხოლოდ ქართული იცოდა და აეროპორტში მე დავხვდი, რამდენიმე დღით სახლი ვუქირავე. მერე დაიწყო ის, რასაც ალბათ, სიგიჟე ჰქვია – ბილბაოს „ატლეტიკის“ გარდა, მამარდაშვილი ყველა ესპანურ გუნდს შევთავაზე („ბილბაოში“ მხოლოდ ბასკები თამაშობენ და ლეგიონერები არ ჰყავთ). ყველამ უარი თქვა, რადგან მამარდაშვილს უმაღლეს დონეზე ერთი თამაშიც არ ჰქონდა ჩატარებული და მისი უბრალოდ არ სჯეროდათ. შემდეგ კი, გამოჩნდა ლუის მარტინესი, „ვალენსიას“ ახალგაზრდული გუნდის დირექტორი, რომელიც მეკარეს ეძებდა და მამარდაშვილით თავიდანვე მოიხიბლა, ყველაფერი გააკეთა, რომ ტრანსფერი რაც შეიძლება მალე დაეხურა. ჰო, გიორგი ახალგაზრდული გუნდისთვის იყიდეს, მაგრამ ისე მოხდა, რომ სილესენი და დომენეკი დაიმტვრნენ და „ვალენსიას“ დიდ გუნდს სხვა გზა არ ჰქონდა, კარში ახალბედა და გამოუცდელი მამარდაშვილი უნდა ჩამდგარიყო. მახსოვს, როგორ ვნერვიულობდი მისი პირველი მატჩის დროს, მაგრამ მივხვდი, რომ ის წინ და წინ წავიდოდა. დანარჩენს თავადაც ხედავთ, მეკარე, რომელიც მილიონზე ნაკლებადაც კი არავის სურდა, დღეს რამდენიმე ათეული მილიონი ღირს და სასწაულებს ახდენს. მე ამაყი ვარ“, – განაცხადა ლოპესმა.

„ნაპოლი“ და კვარაცხელია ვერ თანხმდებიან



ხვიჩა კვარაცხელიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის ფეხბურთელია და შესაბამისად, „ნაპოლის“ მასთან მოქმედი კონტრაქტის გახანგრძლივება სურს. თუმცა, იტალიური კლუბის ხელმძღვანელობა კარგად ხვდება, რომ ქართველი შემტევი თვეში 100 ათას ევროდ, უბრალოდ, აღარ ითამაშებს და ეს მაშინ, როცა მისი შეძენა ფრანგულ „პარი სენ ჟერმენს“ სურს და მას წლიურ ჯამაგირად, ბონუსების ჩათვლით, 9 მილიონ ევრომდე ხელფასს სთავაზობს.

ჰოდა, აურელიო დე ლაურენტისი, გერმანიაში გაფრინდა და კვარაცხელიას, მამამისს და მის აგენტს, მამუკა ჯუღელს, დაახლოებით, ორი საათის განმავლობაში ესაუბრა. ნეაპოლელები მზად არიან, კვარას წლიურად 5.5 მილიონი ევრო და პლუს ბონუსები შესთავაზონ, რომლითაც ხელფასის გაზრდა 7 მილიონამდე იქნება შესაძლებელი. პარალელურად, დე ლაურნეტისს სურს, რომ ხვიჩამ კლუბთან მოქმედი კონტრაქტი 2029 წლამდე გააგრძელოს და მის გამოსასყიდ თანხად 250 მილიონი ევრო ჩაიწეროს. პარალელურად, დე ლაურენტისს არც ის დაუმალავს, რომ თურმე, გუნდის ახალი თავკაცი, ანტონიო კონტე, შემადგენლობის შენებას კვარაცხელიას გარშემო აპირებს და მისი დიდი იმედი აქვს.

„ჩვენ ჩუმად ვადევნებდით თვალს ამ შეხვედრას, რომელიც სასტუმროს ფოიეში მიმდინარეობდა და როცა იტალიურმა მხარემ ქართველს საკუთარი პირობები გააცნო, მან მხოლოდ გაიცინა, მერე კი თქვა, რომ ახლა მხოლოდ ნაკრებზე ფიქრობს და საკლუბო საქმეებზე მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გადაერთვება, თუმცა, მისი სიცილი იმას მოწმობს, რომ ის დე ლაურენტისის შეთავაზებას სერიოზულაად არ აღიქვამს და ყველაფერს იზამს, რომ კარიერა „პარი სენ ჟერმენში“ გააგრძელოს“, – ეს განცხადება ერთ-ერთი იტალიური რადიოს დირექტორმა, ვალტერ დი მაჯომ გააკეთა.

როცა ცუდად არ უნდა გახდე

ევროპის ჩემპიონატის პარალელურად, „კოპა ამერიკა“ მიმდინარეობს, სადაც ამერიკის კონტინენტის ქვეყნები, ერთმანეთში უძლიერესის გარკვევას ცდილობენ. რა თქმა უნდა, მთავარი ფავორიტები არგენტინა და ბრაზილია არიან, თუმცა ვაღიაროთ, რომ ბრაზილიელებს გამარჯვება კი არა, ასეთი თამაშით, ფინალში გასვლაც გაუჭირდებათ. სამაგიეროდ, საკმაოდ დამაჯერებლად თამაშობს არგენტინის ნაკრები და ჯგუფი ისე მოიგო, ყველა თამაშში 3 ქულა აიღო და გოლი არ გაუშვია, თუმცა...

ჯგუფის მესამე შეხვედრა არგენტინელებმა მთავარი მწვრთნელის, ლიონელ სკალონისა და კაპიტნის, ლიონელ მესის გარეშე ჩაატარეს. მესის არყოფნა მცირე ტრავმით იყო გამოწვეული, აი სკალონი კი...

„მეორე ტურში, შესვენების შედეგ, გასახდელში შევყოვნდი, თავი ცუდად ვიგრძენი და თან მუცელი მტკიოდა, ამიტომ საპირფარეშოში შევედი და სათადარიგოთა სკამზე, მეორე ტაიმის დაწყებიდან 15 წუთში მივედი. ამის გამო, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მომცეს, ესეც არ მაკმარეს და 15 ათასი ევროთიც დამაჯარიმეს. ისე გამოდის, რომ ცუდად გახდომის უფლება არ გაქვს, თორემ მაატჩის მიმდინარეობისას, თავი შეუძლოდ თუ იგრძენი, 15 ათასი ევროს გადახდა მოგიწევს“, – განაცხადა სკალონიმ.

გუგული

გოდერძი ჩოხელი

„გიყვარდეს მტერი შენი“...

თუკი რამ კარგი და ლამაზი მახსოვს, ბავშვობიდან მახსოვს. გუგულიც იქიდან მახსოვს, იქიდან გამომძახის:

– გუგუ! – გუგუ!

და თითქოს იყო და არა იყო რა.

ბავშვობაზე უკეთესი რა იქნებოდა, იყო ლამაზი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. გორის იქეთიდან მხოლოდ ყურის წვერი ამოეყო მთვარეს და ეგრე ჩუმად, ფეხაკრეფით შემოდიოდა ხეობაში.

იყო ლამაზი გათენება. ჯერ ამოსულიც კი არ იყო მზე, რომ იმისი სხივები ძილს აღარ მანებებდნენ.

„დილით ამდგარსა ყმაწვილსა ღმერთი უმზადებს სადილსა“, – ჩამჩურჩულებდა დედაჩემი ყურში და – „აბა, მზეს თუ დაასწრებ ადგომასო“, – წამოვხტებოდი და მზეს ვეჯიბრებოდი.

იყო ყვითელი შემოდგომა და შემოდგომაზე ფრინველების წასვლით დარჩენილი სევდა. ჯერ მერცხლებს გამოვიგლოვებდით მე და ჩემი თანატოლები, მერცხლებს მიჰყვებოდნენ ტოროლები, გულყვითელები, ბოლო-ცეცხლები, გუთნის ჩიტები და სხვანი და სხვანი მიფრინავდნენ გუნდ-გუნდად, თავის ბარტყებთან ერთად, იმ ბარტყებთან, ჩვენ რომ თითქმის ყველას ვიცნობდით, თითქმის ჩვენს ხელში დაიზარდნენ, მიფრინავდნენ და მაშინ ჩვენთვის აუხსნელ სევდას გვიტოვებდნენ. ტყეებში მარტო ჩხიკვები და შაშვები რჩებოდნენ. სოფლის ახლომახლო ყვავი დაყრანტალებდა და ამით ამცნობდა დანარჩენ ყვავებს, რომ ხის კენწეროზე შემორჩენილი მწიფე მსხალი იპოვა და ამიტომ მაგარი, ყოჩაღი ყვავია. დღითიდღე იცრიცებოდა, იძარცვებოდა შემოდგომა.

კვირაში ერთხელ არწივი ჩამოიფრენდა ხეობაში, მიდამოს თვალს გადაავლებდა, შეამოწმებდა, ფრთოსნებიდან რომელიმე ხომ არ დარჩა თბილ ქვეყანაში წამსვლელიო და რომ დარწმუნდებოდა, ისევ ჭიუხებისკენ წავიდოდა ყეფით. ერთი ორჯერ თუ შეატყლაშუნებდა ფრთებს, მეტად არა. დღეები თანდათან მსუბუქდებოდა, გამსუბუქებული დედამიწა თითქოს ზეცისკენ მიიწევდა. ცასა და მიწას ერთი ფერი დაედებოდა, ახლა ვხვდები, რომ ეს ფერი გარდაცვალების ფერი იყო, მტკნარი და მიტკალივით თეთრი. და ამის მერე იყო ზამთარი. თოვლის ფიფქები მოდიოდნენ. ზეცის ყვავილობა გეგონებოდა. ყველაფერი თოვლის საბურველში გაეხვეოდა და არაფერი არ უხდებოდა ბავშვობას ისე, როგორც ზამთარი.

ციგაობა, თოვლის კაცების აშენება, გრძელი ზღაპრებით სავსე ღამეები და... ყოველთვის, ეს რომ მოგვწყინდებოდა, სწორედ მაშინ მოვიდოდა გაზაფხული. შეეშინდებოდა ზამთარს, დანაწილდებოდა ნაკადულებად, ზვავებად და გარბოდა, მიწაში იმალებოდა. ზეციდან მოსული იყო, მაგრამ მიწაში იმალებოდა. მიწიდან კი გაზაფხული ამოდიოდა – ენძელებად, იებად, ყოჩივარდებად, თეთრად აფეთქებულ ტყემლებად, კლდის ფხაზე ამოშვერილ პირიმზედ, ჩრდილში მოსულ გვირილად და ისევ და ისევ ბავშვების ჟრიამულად. და ისევ, თითქოს იყო და არა იყო რა, იყო ლამაზი გაზაფხული, ნაირ-ნაირი პეპლებით სავსე.

დავდევდით პეპლებს და როგორმე რომ დაგვეჭირა, ვატყუებდით: „დაჯე, დაჯე, პეპელაო, თორემ დედა მოგიკვდება“.

პეპლებს, რა თქმა უნდა, დედის სიკვდილის ეშინოდათ და სხდებოდნენ. გაიხსნებოდა გზები, დაიწყებოდა მგზავრების მიმოსვლა. გაზაფხულობით ჩამოივლიდა ხოლმე მღვდელი, შეკრებდნენ ერთ სახლში იმ წელს დაბადებულ ბალღებს. იყო ერთი სიცილ-კისკისი და ბალღების ჩხავილი.

მერე მღვდელი წიგნს გადაშლიდა და კითხულობდა. ბევრს ვერაფერს ვგებულობდით, მაგრამ ერთი რამ ძალიან გვაკვირვებდა – „გიყვარდეს მტერი შენი“...

რატომ? რატომ უნდა გვყვარებოდა მტერი?! ვერა, ვერ ვგებულობდით. ხეობა კი თანდათან ივსებოდა გუთნის ჩიტებით, კოდალებით და ბოლო-ცეცხლებით. ხეობა სავსე იყო ფრინველთა გალობით და ერთ დღესაც, ამ გალობაში გაისმებოდა: – გუგუ! – გუგუ! ეს ხმა ყველაზე მეტად გაგვახარებდა.

რატომღაც გვეგონა, რომ გუგულს მოჰყავდა გაზაფხული. – გუგულო, რამდენი წლისა ვარ? – გავძახებდით გუგულს და ისიც, რა თქმა უნდა, იმდენჯერ დაიძახებდა „გუგუს“, რამდენი წლისაც ვიყავით. მერე დედები გუდებს მოგვკიდებდნენ და გაგვაგზავნიდნენ წიფლიან ტყეში. ჩვენ მთელი დღე ჩასაფრებული ვყავდით გუგულს, რომ თუ რომელიმე ხეზე შემოჯდებოდა, იმ ხისთვის სამჯერ უნდა შემოგვერბინა ძახილით: – გუგულო, ღალა მოგპარე!

– გუგულო, ღალა მოგპარე! – გუგულო, ღალა მოგპარე! თუ ამას მოვახერხებდით, გვჯეროდა, რომ იმ წელს ბარაქიანი მოსავალი გვექნებოდა. გუგულებს კი, თითქოს ეს არ უნდოდათ, მაშინვე გაფრინდებოდნენ იმ ხიდან, რომელსაც გარშემო ვურბენდით. ახლა სხვა ხეზე შემოჯდებოდნენ და ჩვენც იმ ხეს მივეპარებოდით. ამასობაში შევამჩნიეთ, რომ გუგულს ყოველდღე სამი ნიბლია ჩიტი დასდევდა თან. ჭრელფრთიანები იყვნენ, პატარა, წვრილი ნისკარტები ჰქონდათ. თავზე ისეთი ბუმბულით იყვნენ შემოსილნი, თითქოს გუგულის დიასახლისები იყვნენ და თავზე კოპლებიანი თავსახურავები ეხურათ. მერე ისიც შევამჩნიეთ, რომ დილით სამი ასეთი ჩიტი დაჰყვებოდა გუგულს, შუადღისას – ორი, საღამოს კი – ერთი. გაფრინდებოდა გუგული და ისინიც უკან გაჰყვებოდნენ. მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს პატარა ჩიტები გუგულის დიასახლისები იყვნენ და ერთხელ გუგულის დევნით დაღლილ-დაქანცულმა, მღვდელს ვკითხე:

– გუგულს თუკი ჰყავს დიასახლისები, რატომ სხვა ფრინველებს არა ჰყავთ?

– რა დიასახლისები?! – გაუკვირდა მღვდელს.

– აი, სამი პატარა ჩიტი რომ დაჰყვება თან. – ეგენი დიასახლისები კი არა, გუგულს ყოველდღე, სამი ეგეთი ჩიტი უბოძა საზრდოდ ღმერთმა.

ერთს დილით სჭამს, მეორეს – შუადღისას და მესამეს – საღამოს. ერთ ჩიტს მარტი ჰქვია, მეორეს – აპრილი, მესამეს – მაისი, მითხრა მღვდელმა. იმ დღის მერე, გადავემტერეთ გუგულს. მთელი სოფლის ბალღები ისე აგვაფორიაქა გუგულის საქციელმა, რომ ერთ დღეს „შევიარაღდით“ და გუგულის მოსაკლავად წავედით. გუგული მუხაზე იჯდა და ხეობას გასძახოდა. მოვმართეთ შურდულები და დავუშინეთ ქვები. გუგული გაფრინდა და ჩიტებიც თან გაჰყვნენ. ორნიღა იყვნენ, ეტყობა, ერთი უკვე შეჭამა. გამოვედევნეთ უკან და აღარ მივეცით მოსვენება.

შუადღემდე მუხლი არ ჩაგვიხრია. ცოტა ხნით სადღაც დაგვეკარგა და, ხელახლა რომ ვიპოვეთ, ერთი ჩიტიღა დასდევდა თან. როგორც იქნა მოხვდა ქვა. წიფლიდან ჩამოვარდა, პატარა ჩიტიც თან ჩამოჰყვა, მერე ისევ გაგვიფრინდა. ეტყობა, ფრთა ჰქონდა მოტეხილი. ნიბლია ჩიტიც თან მიჰყვებოდა. გუგული ღვიის ბუჩქებში ჩაეშვა და კარგა ხანს ვეღარ ვიპოვეთ, როცა მივაგენით, სანახაობამ ერთად შეგვაყენა და ნაბიჯი ვეღარ წავდგით – ღვიის ძირში გუგული ეგდო და სულს ღაფავდა. მოტეხილ ჭროღა ფრთაზე წითლად ჰქონდა სისხლი შემხმარი. იქვე, ღვიის ტოტზე მობუზული იჯდა ნიბლია ჩიტი და თავის ტოლა ცრემლები ჩამოსდიოდა თვალებიდან. ჩვენს დანახვაზე არც კი ცდილა, რომ გაფრენილიყო.

ამ სანახაობამ ისე დაგვწყვიტა გული, რომ იქვე, პატარა საფლავი გავთხარეთ და ჩვენ, ბავშვებმა, პირველად, ჩვენი სიცოცხლის მანძილზე, გუგული დავმარხეთ. ნიბლია ჩიტი კარგა ხანს იჯდა თვალცრემლიანი ღვიის ტოტზე, მერე კი, თითქოს რაღაც გაახსენდა, უცებ დაიწრიპინა, თავსაფრიანი თავი ჰაერში გააქნია, სუსტი ფრთები გაშალა და საღამოს ბინდბუნდს შეერია. ახლა, რამდენჯერაც გაზაფხული მოვა, ყოველთვის ის გუგული მახსენდება და მაშინ ნანახზე რატომღაც ახლა ვფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ ტიროდა ეს პატარა ნიბლია ჩიტი. მაისი კი იქ, ჩემს ბავშვობაშიც, წვიმიანი იცოდა.

ჯეკპოტმა ინფარქტი დამართა

სინგაპურში, ერთ-ერთ კაზინოში – Marina Bay Sands Casino, მამაკაცმა 4 მილიონი დოლარის ჯეკპოტი მოიგო და უმალ ინფარქტი მიიღო. როგორც გაზეთი International Business Times წერს, მოულოდნელი სიხარულისგან შოკირებული მამაკაცი უგონოდ დაეცა იატაკზე. „მას გულის შეტევა დაემართა, სავარაუდოდ, ზედმეტად აღელვებისა და მოგების გამო“, – წერს გამოცემა. სოციალურ ქსელში ვიდეოც გავრცელდა, რომელშიც ნათლად ჩანს კაზინოს იატაკზე მწოლიარე მამაკაცი. მას სხვა მოთამაშეები და დაცვის წევრები მივარდნენ დასახმარებლად. თვითმხილველების თქმით, ადგილზე მისული მედიკოსები შეეცადნენ მის რეანიმირებას, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შეძლეს გადარჩენა. თუმცა, სხვა ინფორმაცია გაავრცელეს თავად სათამაშო სახლის წარმომადგენლებმა – იღბლიანი მოთამაშე კლინიკაშია გადაყვანილი და იქ აგრძელებს მკურნალობას.

„გამაგრილებელ“ ტროტუარებს სცდიან

აშშ-ში, ეგრეთ წოდებული, გამაგრილებელი ტროტუარების ტესტირება მიმდინარეობს. ლაპარაკია ღია ფერის ასფალტით დაფარულ გზებზე, რომელიც მზის სხივებს ირეკლავს და არ აძლევს გზის საფარს გადახურების საშუალებას. თუმცა, Bloomberg-ის ექსპერტებმა გაარკვიეს, რომ გზებზე შუქის ამრეკლავი საფარის გამო, სითბო ასფალტის ზედაპირზე არ გროვდება და ის გადანაწილდება ატმოსფეროში. ამის გამო, ჰაერის ტემპერატურა, შესაძლოა, რამდენიმე გრადუსით უფრო მეტად იგრძნობოდეს, ვიდრე სინამდვილეშია.

ტურისტებს სახლებს ვეღარ მიაქირავებენ

ბარსელონა – მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ტურისტული ქალაქი, აპარტამენტების ხანმოკლე ვადით გაქირავების წესებს ცვლის და ეს ცვლილება ტურისტებს შეეხება. ქალაქის მერმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს, 10 101 ბინის მფლობელს ლიცენზია ჩამოართვას 2028 წლამდე. მისი თქმით, საცხოვრებელზე ფასების ზრდის პრობლემამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია ქალაქისთვის. ბოლო ათ წელიწადში, ბარსელონაში ბინის ქირის ფასი 68%-ით გაიზარდა. ამის გამო, ბევრ მცხოვრებს ბინის დაქირავების საშუალება აღარ აქვს. ახალი შეზღუდვები, პირველ როგში, Airbnb-ის პლატფორმაზე განთავსებულ საცხოვრებლებს შეეხება.

ნასა-სგან ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ

ამერიკული ოჯახი აშშ-ის კოსმოსური სააგენტოსგან 80 ათასი დოლარის ზარალის ანაზღაურებას ითხოვს, რადგან კოსმოსურმა ნაგავმა მათი სახლი დააზიანა. ფლორიდის ქალაქ ნეაპოლში მცხოვრები ოტეროს ოჯახის სახლის სახურავი კოსმოსიდან ჩამოვარდნილმა ნამსხვრევებმა გახვრიტა. მათი სახელით სასამართლოში სარჩელი კომპენსაციაზე იურიდიულმა ფირმამ Cranfill Sumner შეიტანა. მასში ნათქვამია, რომ მეტალის ცილინდრი, რომელიც საერთაშორისო კოსმოსური სადგურიდან 2021 წელს გაუშვეს, წელს, 8 მარტს, ოტეროს სახლს დაეცა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, მხოლოდ სახურავი გაიხვრიტა, თუმცა ზიანი მიადგა დაუზღვეველ შენობას, ხელი შეეშალათ მუშაობაში, ოჯახმა კი ემოციური და ფსიქიკური ტრავმა მიიღო. მოგვიანებით ნასა-მ დაადასტურა, რომ ობიექტი ნამდვილად მათ მოწყობილობას ეკუთვნოდა. სააგენტოს ექვსი თვე აქვს, ოჯახის პრეტენზიას რომ უპასუხოს.

ვულკანისგან განადგურებული პლაჟი აღადგინეს

სამხრეთ იტალიაში, ქალაქ გერკულანუმში პლაჟი გახსნეს, რომელიც ჩვ.წ.აღ-მდე 79 წელს, ვეზუვის ამოფრქვევის დროს განადგურდა. თანამდროვე ადამიანებს მისი ნახვა იმავე პოზიციიდან შეეძლებათ, როგორც ძველ რომაელებს. „მნახველები იქ გვირაბის მეშვეობით ჩადიან. თითქოს, ორი ათასი წლის წინ ვბრუნდებით, შემდეგ კი მოულოდნელად თვალწინ პლაჟი იხსნება“, – ამბობს გერკულანუმის არქეოლოგიური პარკის დირექტორი. სავარაუდოდ, ვეზუვის ამოფრქვევის დროს ადამიანები ფერფლისა და ლავისგან თავის დაღწევას პლაჟზე ცდილობდნენ. ისინი უფროს პლინიუსს – რომის ფლოტილიის მეთაურს ელოდებოდნენ, რომელსაც ადგილობრივების გადარჩენაზე უნდა ეზრუნა. გერკულანუმი უფრო ნაკლებად არის ცნობილი, ვიდრე პომპეი, მიუხედავად იმისა, რომ იქ სპეციალისტებმა უამრავი არტეფაქტი აღმოაჩინეს, მათ შორის 300-ზე მეტი ადამიანისა და ცხოველის ნეშტი.

„შპარგალკა“ კალმებზე ამოკაწრა

მალაგას უნივერსიტეტის პედაგოგმა, იოლანდა დე ლუკიმ სოციალურ ქსელში უჩვეულო „შპარგალკების“ ფოტო გამოაქვეყნა, რომელიც მან გამოცდაზე სტუდენტს ჩამოართვა. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდამ ფოლადის ნემსით პასტებზე ამოკაწრა ამონარიდები ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსიდან. „ახალი „შპარგალკები“ ისეთი აღარაა, როგორც ადრე“, – დაწერა პედაგოგმა. მისი თქმით, დღევანდელი სტუდენტები არ დათანხმდებიან ასეთ ტიტანურ შრომას, რადგან ახლა ყველაფერი „ღილაკზე ერთი ხელის დაჭერით“ წყდება. პროფესორის პოსტს ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ათობით ათასი გადაზიარებაც ჰქონდა. მასწავლებელმა კი მაინც არ გაამხილა, შეძლო თუ არა ამხელა „ნაშრომის“ ავტორმა ესპანურ სამართალში გამოცდის ჩაბარება.

ყველაზე მოკლე ფრენა მსოფლიოში

შოტლანდიის ორ კუნძულს – უესტრეისა და პაპა-უესტრეის შორის თვითმფრინავით გადაფრენა მსოფლიო რეკორდია ყველაზე ხანმოკლე კომერციულ რეისებს შორის. ის სულ 2 წუთი, ხან უფრო ნაკლებიც კი გრძელდება. „ზურგის ქარით“ ფრენა კი, შესაძლოა, ერთ წუთზე ნაკლებ დროშიც დასრულდეს. ეს უნიკალური რეისი პირველად 1967 წელს შესრულდა და მას დღემდე აგრძელებს კომპანია Loganair-ი. თვითმფრინავი სულ 1.7 მილს ფარავს, რაც უფრო ნაკლები მანძილია, ვიდრე მასხვილი აეროპორტების ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი. მგზავრები გადაჰყავთ Britten-Norman Islander-ზე, მცირე ზომის თვითმფრინავით, რომელსაც ერთი პილოტი მართავს, მგზავრებისთვის კი რვა ადგილია. კუნძულების მცხოვრებლებისთვის, რომლებისთვისაც ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კავშირია უფრო დასახლებულ კუნძულებამდე, ფრენის სუბსიდირებას შოტლანდიის მთავრობა ახდენს, ტურისტებისთვის კი ბილეთების ღირებულება 17-დან 45 გირვანქა სტერლინგამდეა.

ახალი პრეპარატი კიბოს წინააღმდეგ

ჰონგ-კონგელმა სწავლულებმა ახალი პრეპარატი შექმნეს ცხვირ-ხახის კიბოს სამკურნალოდ. ის მუტაციურ უჯრედებს ანადგურებს და იმუნურ უჯრედებს ბრძოლაში ჩართვისკენ უბიძგებს. გამოგონებამ დადებითი შედეგები აჩვენა მღრღნელებზე ჩატარებული ცდების დროს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ პრეპერატი ყველა მის წინამორბედზე უკეთესია, რადგან მინიმუმამდე დაჰყავს ჯანმრთელი უჯრედების დაზიანება. სიახლე მიმართულია მხოლოდ ეპშტეინ-ბარის ვირუსით დაინფიცრებულ უჯრედებზე. მას უკავშირებენ ცხვირ-ხახის სიმსივნის წარმოქმნას. მის კიდევ ერთ გამომწვევ ფაქტორად მოწევას ასახელებენ.

სახლი მგრძნობიარე ადამიანებისთვის



შვეიცარიაში, ციურიხის შემოგარენში აშენებულ ახალ საცხოვრებელ სახლში უმკაცრესი და დღევანდელობისთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი წესები შემოიღეს. ევროპაში ამგვარი, ერთადერთი სახლის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ის ოჯახები იცხოვრებენ, რომლის წევრებიც მეტად მგრძნობიარენი არიან მობილური ტელეფონების, სუნამოს სურნელის, ან ვთქვათ, სიგარეტის კვამლის მიმართ. ამის გამო, ახალ შენობაში აკრძალულია მოწევა, პარფიუმის გამოყენება და მობილურზე საუბარიც კი. „მთელი ცხოვრება, ბავშვობიდან მოყოლებული, ვიტანჯებოდი. უსადენო ტექნიკასთან კონტაქტისას, ან სიგარეტისა და სუნამოს სუნზე, გამუდმებით სისუსტეს ვგრძნობდი, თავბრუ მეხვეოდა და სუნთქვა მიჭირდა. მეგონა, რომ ნახევრად ცოცხალი ვიყავი. ამ სახლში ბინის შეძენის შემდეგ კი ყველაფერი უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს“, – ამბობს ჯანსაღი ცხოვრების ფონდის მეთაური, 59 წლის კრისტიან შიფერლე. ის და სახლის სხვა ახალი ბინადრები ძლიერი ქიმიური მგრძნობელობით (Multiple Chemical Sensitivity) იტანჯებიან. ეს ქრონიკული მდგომარეობაა, რომელიც ამ მომენტისთვის არ არის ფართოდ აღიარებული სამედიცინო საზოგადოების მიერ. რასაკვირველია, ახალ შენობაში ცხოვრება ამ ადამიანებს უფრო ჯანმრთელს ვერ გახდის, მაგრამ მათ ცხოვრებას გააუმჯობესებს და ჯანმრთელობის პრობლემებს მინიმუმამდე შეამცირებს. ამ „სამკურნალო“ სახლის აშენების ინიციატორების შეფასებით, დღეისთვის მხოლოდ შვეიცარიაში, დაახლოებით, 5 ათასი ადამიანია, ვისაც ეს ქიმიური ზემგრძნობელობა აწუხებს.

ხელოვნური ინტელექტი ქოლ-ცენტრებს დაეხმარება

ამომავალი მზის ქვეყანაში, ქოლ-ცენტრების თანამშრომლებს ხელოვნური ინტელექტი დაეხმარება. სპეციალურად მათთვის შექმნილი ნეიროქსელი კლიენტების გაბრაზებულ მეტყველებას მშვიდში გადაიყვანს. ავტორები აღნიშნავენ, რომ ქოლ-ცენტრების თანამშრომლებს ყოველდღიურად სტრესში უწევთ მუშაობა, აქვთ კონფლიქტური ურთიერთობები კლიენტებთან. სერვისი ამ უკანასკნელების გაბრაზებულ ხმას უფრო თავაზიან ტონს დაადებენ, მაშინაც კი, თუ ისინი ხმამაღლა ყვირიან. ამასთან, სისტემა არ შეცვლის სიტყვების შინაარსს და სტრუქტურას, მხოლოდ შეარბილებს ინტონაციას. მოკლედ, ოპერატორი მოისმენს ყველა ლანძღვასა და პრეტენზიას, მაგრამ „კეთილგანწყობილი“ მანერით.

იყიდება სახლი, სადაც ცხოვრება არ შეიძლება

კალიფორნიაში, სან-ფრანცისკოში, იყიდება სახლი – სამი საძინებლით და ორი აბაზანით, რომელიც გაცილებით იაფია, სხვა ანალოგიურ ობიექტებთან შედარებით. მისი ღირებულება ნახევარი მილიონი დოლარია, თუმცა არის ერთი ნიუანსი – 29 წლის განმავლობაში, ადამიანები იქ ვერ იცხოვრებენ. ამ უჩვეულო განცხადებამ უამრავი პოტენციური მყიდველის ყურადღება მიიპყრო. მასში ნათქვამია, რომ სახლი გაქირავებულია და ასე იყიდება. მყიდველს იქ საცხოვრებლად გადასვლა მხოლოდ 2053 წელს შეეძლება. განცხადების თანახმად, ახლანდელი მოიჯარეები გააგრძელებენ სახლში ცხოვრებას და გადაიხდიან იმავე ქირას, რასაც ახლა იხდიან – თვეში 417 დოლარს. ადვოკატების თქმით, ეს მემკვიდრეობის დაგეგმვის, ასე ვთქვათ, დაუდევარი მეთოდია: „ადამიანს აძლევ გარანტიას, რომ მას საცხოვრებელზე ზრუნვა არ დასჭირდება. ეს ხელსაყრელი წინადადებაა მხოლოდ მათთვის, რომლებიც მზად არიან ლოდინისთვის“, – ამბობენ სამართალმცოდნეები.

დარიჩინიანი ყავა მადას არეგულირებს

უცხოელი დიეტოლოგები გვირჩევენ, შაქრის ნაცვლად, ყავაში დარიჩინი გამოვიყენოთ. ამ შემთხვევაში, ეს სანელებელი არა მხოლოდ სასიამოვნო გემოს მიანიჭებს სასმელს, თანაც დამატებითი კალორიების გარეშე, არამედ, ფორმის შენარჩუნებაშიც დაგვეხმარება. სპეციალისტების თქმით, დარიჩინი ხელს უწყობს მადის დარგულირებას, რადგან სისხლში შაქრის დონეს აკონტროლებს. სწავლულების განცხადებით, ყავაში მწიკვი დარიჩინის დამატება თავიდან აგარიდებთ დღის განმავლობაში ზედმეტად წახემსებას და შედეგად, წონაში მომატებასაც. ცნობილია, რომ დარიჩინი დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტებს შეიცავს, რაც იმუნური სისტემის მუშაობაზე პოზიტიურ გავლენას ახდენს. გარდა ამისა, სანელებელი შეიცავს ნაერთებსაც, რომლებიც ხელს უშლიან სისხლის უჯრედების შეწებებას და შედეგად, თრომბების ჩამოყალიბებას.

ექსკრემენტების საცავი გახსნეს

შვეიცარიელმა სწავლულებმა მიკრობიოლოგიის ინსტიტუტიდან, მიკრობიოტის შესანახი საცავი გახსნეს. მათი თქმით, ერთხელაც ის კაცობრიობას გადაშენებისგან იხსნის. ბაქტერიები, ვირუსები და სოკოები, რომლებიც ადამიანის ნაწლავებში ცხოვრობენ, საკვანძო როლს თამაშობენ საკვების გადამუშავებაში, საკვები ნივთიერებების ათვისებაში ეხმარებიან და ორგანიზმის სხვა სისტემების მუშაობაში მონაწილეობენ. თუმცა, სხვადასხვა მიკროორგანიზმების რაოდენობა თანდათან მცირდება, ამიტომ სწავლულებმა გადაწყვიტეს მათი შენახვა – გაყინული ექსკრემენტების სახით. დღეისთვის, სპეციალისტებმა ექსკრემენტების 3 ათასამდე ნიმუშის მოგროვება შეძლეს, ძირითადად, შვეიცარიიდან. თუმცა, მათ „კოლექციის“ გაფართოება სურთ, რადგამ მიკრობიომი განსხვავდება რეგიონისა და ცხოვრების წესის მიხედვით. ნიმუშები ჩაიტანეს პუერტო-რიკოდან და ეთიოპიიდანაც. ნიმუშები ჯერჯერობით ლაბორატორიულ საყინულეში, -80 გრადუსზე ინახება. მოგვიანებით კი „კოლექციის“ გადატანას ალპებში მდებარე ძველ სამხედრო ბუნკერებში აპირებენ.

გასახდომი პრეპარატი წარმატებული აღმოჩნდა

ექსპერიმენტულმა პრეპარატმა, რომელსაც ჭარბწონიან ადამიანებზე კლინიკურად სცდიდნენ, მონაწილეებში წონის რეკორდული კლება აჩვენა. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია Eli Lilly and Company (Lilly)-ის შექმნილი Tirzepatide, წონაში კლებას ხელს უწყობს ბუნებრივი ჰორმონების – ინკრეტინების ეფექტების მიბაძვის მეშვეობით. ეს ჰორმონები ჭამის შემდეგ სისხლში შაქრის დონეს ამცირებენ და მეტაბოლურ პროცესებს არეგულირებენ. ახალი პრეპარატი, რომელიც ბაზარზე ჯერ ხელმისაწდომი არ არის, ორი კონკრეტული ინკრეტინის სინთეტიკურ კომბინაციას წარმოადგენს. კლინიკური ცდების მესამე ფაზაში 2 500-ზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა. ისინი ან მსუქნები იყვნენ, ან – ჭარბწონიანები. 72 კვირის განმავლობაში, მათ ნაწილს Tirzepatide-ს აძლევდნენ, ნაწილს კი – პლაცებოს. კვლევის მსვლელობისას, მოხალისეებში, რომლებიც ახალ პრეპარატს იღებდნენ, დაფიქსირდა წონაში კლების მნიშვნელოვანი დონე (ყველაზე მეტი – 24 კილოგრამი).

უჩვეულო ვაკანსიები ტურისტებისთვის

ავსტრალიის კუნძულოვანი შტატი ტასმანია უნიკალურ ინიციატივას აანონსებს, რათა ზამთრის თვეებში ტურისტების ყურადღება მიიპყროს. მათ ჩვეული, რუტინული სამუშაოს შეცვლას სთავაზობენ დროებით, სეზონურ ვაკანსიებზე. ასეთი უჩვეულო შეთავაზებებია: ვარსკვლავთმრიცხველის, ტრუფელებზე მონადირის და საუნაში ცეცხლფარეშის ვაკანსიები. მოგზაურებს ასევე სთავაზობენ ავსსტრალიის უძველეს თავშესაფარში გამგზავრებას და იქ პარანორმალურ მოვლენებზე უახლესი აპარატურით დაკვირვებას, მოჩვენებებზე ნადირობას. ეს ვაკანსია ერთდღიანია, თუმცა წარმოუგდენელ შთაბეჭდილებებს ტოვებს. კიდევ ერთი, საინტერესო შეთავაზებაა ვომბატების გასეირნება, ამ საყვარელი ცხოველების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ამ უცნაური დროებითი სამუშაოს მისაღებად, მსურველები სრულწლოვანები და ავსტრალიის მაცხოვრებლები უნდა იყვნენ.

მწვანე ჩაი პროსტატის სიმსივნისგან იცავს

მწვანე ჩაის ხუთი ან მეტი ჭიქის ყოველდღიური მიღება პროსტატის კიბოს გავრცელებული ფორმების განვითარებისგან დაგიცავთ, – ასეთ დასკვნამდე, მასშტაბური კვლევის შედეგად, იაპონელი მეცნიერები მივიდნენ. მათ დაადგინეს, რომ ის მამაკაცები, რომლებიც დღეში ხუთ ან მეტ ფინჯან მწვანე ჩაის მირთმევდნენ, ორჯერ უფრო იშვიათად ავადდებოდნენ პროსტატის კიბოთი, ვიდრე ისინი, რომლებიც დღეში მხოლოდ ერთ ფინჯან ამ არომატულ სასმელს სვამდნენ. ამასთან, ჩაის გამოყენება არანაირ გავლენას არ ახდენდა კიბოს ლოკალური ფორმების განვითარების სიხშირეზე. მკვლევართა აზრით, მწვანე ჩაის კიბოს საწინააღმდეგო ეფექტი, შესაძლოა, მასში კატექინების შემცველობას უკავშირდებოდეს, ეს ნივთიერება აქვეითებს ტესტოსტერონის დონეს, რომელსაც დიდი წვლილი აქვს პროსტატის კიბოს განვითარებაში. სტატისტიკის მიხედვით, აზიური ქვეყნების მამაკაცებს, დასავლეთის ქვეუნების მამაკაცებთან შედარებით, ეს დაავადება ბევრად იშვიათად სჭირთ. იაპონელი სწავლულების ვარაუდით, ეს განსხვავება მწვანე ჩაის მოხმარების დონეს უკავშირდება – აზიელი მამაკაცები მას უფრო ხშირად მიირთმევენ.

საკვების პორტატული გამაცხელებელი შექმნეს

იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სამსახურში საკვების გაცხელება არ შეუძლიათ და ხშირად ცივი სადილის მირთმევა უწევთ, ან იძულებულნი არიან, სწრაფი კვების ობიექტებს მიმართონ, უკვე არსებობს გამოსავალი – ახალგაზრდა სპეციალისტებმა საჭმლის ინოვაციური ყუთი – Ember შექმნა, რომელსაც შეუძლია, მასში მოთავსებული საკვები დამოუკიდებლად გაათბოს, გააცხელოს ყოველგვარი გაზქურისა და მიკროტალღური ღუმელის გარეშე. როგორც მისი ავტორები აცხადებენ, ამ ყუთის გამოყენება ძალიან მარტივი და მოსახერხებელია, რადგან მისი წაღება ყველგან შეიძლება – ოფისი იქნება თუ ლაშქრობა. გარდა ამისა, მოწყობილობას შეუძლია, თქვენი საკვები გრილად, ან პირიქით – თბილად შეინახოს. მას მოჰყვება სპეციალური აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც ამ გამაცხელებლის მართვასა და საამისოდ დროის წინასწარ დაგეგმვასაც შეძლებთ.

ალცჰაიმერის ვაქცინას გამოსცდიან

აშშ-ში, ალცჰეიმერის სამკურნალო ნაზალური ვაქცინის კლინიკური ცდები იწყება. კვლევის მიზანი პრეპარატის ეფექტურობის განსაზღვრაა. ტესტირება ბოსტონში მდებარე ბრიგემის ქალთა საავადმყოფოში ჩატარდება. თუ ამ კლინიკური ცდების შედეგად ვაქცინის ეფექტურობა და უსაფრთხოება დადასტურდა, შესაძლოა, ეს დაავადების მკურნალობის არატოქსიკური მეთოდი გახდეს. პრეპარატი რისკის ქვეშ მყოფ ადამიანებს დაავადების პრევენციაში დაეხმარება. ახალი ვაქცინა იმუნოთერაპიული პრეპარატის – პროტოლინისგან შედგება, რომელიც ორგანიზმის იმუნურ სისტემას ასტიმულირებს. კლინიური ცდების პირველი ფაზა ექვს თვეს გაგრძელდება, რის შემდეგაც, მეორე ფაზა ჩატარდება და მასში 150 მოხალისე მიიღებს მონაწილეობას.

სწავლა სიბერემდეო

იტალიელმა მამაკაცმა, რომელმაც სწავლას თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიუძღვნა, 78 წლის ასაკში, მეათე უმაღლესი განათლების მიღება მოახერხა. სამხრეთ აპენინების ქალაქ ტროას მცხოვრები, ლეონარდო ალტობელი ცოტა ხნის წინ ბიოტექნოლოგიის დიპლომირებული სპეციალისტი გახდა. ალტობელი, რომელიც მანამდე ოჯახის ექიმად მუშაობდა და რომელმაც მშობლიური ქალაქის მერობაც კი მოასწრო, დროის დიდ ნაწილს წიგნებთან ატარებს, თუმცა მანიაკალურად არ მეცადინეობს. „ვსწავლობ მხოლოდ მაშინ, როცა გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი. თავისუფალ დროს კი სხვა გატაცებებს ვუთმობ“, – ამბობს ლეონარდო. პირველი უმაღლესი განათლება მან მედიცინის სფეროში მიიღო, მერე დაამთავრა უნივერსიტეტი იურისპრუდენციის, პოლიტიკური მეცნიერების, ლიტერატურის, ფილოსოფიის, აღმზრდელობითი მეცნიერებების, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და ბოლოს, ბიოტექნოლოგიის სპეციალობებით. თუმცა, ალტობელი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს და არ გამორიცხავს, რომ სწავლას ღრმა სიბერემდე გააგრძელებს.

კარიესის საწინააღმდეგო კანფეტები შექმნეს

გერმანელმა სპეციალისტებმა კარიესის საწინააღმდეგო კანფეტები შექმნეს. აღსანიშნავია, რომ ტკბილეული საერთოდ არ შეიცავს შაქარს, სამაგიეროდ, მდიდარია „სასარგებლო“ ბაქტერიებით. ტკბილი საკვების მირთმევის შემდეგ, სტრეპტოკოკური მიკრობები კბილის ემალზე რჩებიან და კარიესს იწვევენ. ახალი კანფეტების „მეგობრული“ ბაქტერიები კი უერთდებიან კარიესის გამომწვევებს და არ აძლევენ კბილზე დალექვის საშუალებას. მავნე და სასარგებლო მიკრობების წყვილი საჭმლის მომნელებელ სისტემაში ხვდებიან და ორგანიზმისთვის ზიანის მიყენების გარეშე გამოდიან. ახალი კანფეტები, რომელიც კომპანია OrganoBalance-მ შექმნა, უპირველესად, ბავშვებისთვის არის განკუთვნილი, რათა მათ პატარა ასაკშივე აიცილონ კბილების „დაჭიანება“.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.